

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

\*2424

**"ჯანტლმენური პოტანხეზა დაცულია" A7**



**სოჭის მერი არჩაულია A7**



**ქართული თეატრი ვირტუალურ სივრცეში A9**



## შეხვედებით ჩაის წვეულებაზე

**დავით ჯ. სიტიჩი**  
საპროტესტო „24 საათისთვის“

როდესაც საკუთარ ქალაქში საინტერესო ამბები ხდება, მოსახლეობის დიდ ნაწილს ალარაინტერესებს სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები. მაგრამ ჩვენს გლობალიზებულ სამყაროში რამდენიმე სიტყვის აკრეფით შეგვიძლია მოვხვდეთ ლონდონში, პარიზსა თუ ნიუ იორკში. საოცარი რამაა "Google". რამდენიმე ნახტომი კიბერსამყაროში და ორ რამეს აღმოვაჩინეთ: პირველი

ისაა, რომ თითქმის ყველა ადამიანს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და ამერიკაში საკუთარი ქვეყნის ახალ ამბებზე აქვს ყურადღება გამახვილებული. მეორე კი ის გახლავთ, რომ ამ ახალი ამბების დიდი ნაწილი ასახავს საპროტესტო გამოსვლებს, რაც ნორმალურ დემოკრატიულ ფენომენად ითვლება. ლონდონში პარამესუარან სუბრამანიანმა, ეთნიკურმა თამილელმა შიმშილობა გამოაცხადა, რათა დაარწმუნოს ბრიტანეთის მთავრობა, რომ აუცილებელია შრი ლანკის ხელისუფლება-

სა და აჯანყებულ "თამილელ ვეფხვებზე" ზენოლა ცეცხლის შეწყვეტის მიზნით. პარლამენტის მოედანზე მისი კარვისთვის თამილელ დემონსტრანტებს რკალი აქვთ შემოვლებული, პოლიციამ კი დემონსტრანტების შესაჩერებლად ვესტმინსტერის ხიდზე მისასვლელი გადაკეტა. სრუტის გადაღმა კი ფრანგული უნივერსიტეტია პარალიზებული. სტუდენტებმა და მომუშავე პერსონალმა უნივერსიტეტის წინ მერხების და სკამებისგან ბარიკადები აღმართეს და აპროტესტებენ თავიანთ არასახარბი-

ელო მდგომარეობას, გაურკვეველ სამუშაო მომავალს და პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის უპატივცემულო დამოკიდებულებას ინტელექტუალებისადმი. ალპების გადაღმა, იტალიაში, საფეხურთო კლუბ "რომას" ფანებმა რომის გარეუბან ტრიგორიაში გუნდის საწვრთნელ ბაზასთან პიკეტი მოაწყვეს და ცნობილი მცველის ფილიპ მექსესის "იუვენტუსისთვის" ან "მილანისთვის" შესაძლო მიყიდვას აპროტესტებენ.

ბაზრძალაბა A3 გვირდვა

## ოპოზიციის გეგმები სინანულის დღეს

დათო გახისონია

გუშინ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს პოლიტიკური ოპოზიციის ახალი ინიციატივის შესახებ აცნობეს. "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ შეიქმნა სპეციალური ფგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან ირაკლი ალასანია, სალომე ზურაბიშვილი, კახა კუკავა და ნინო ბურჯანაძე. ისინი აქტიურად ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან და საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე სრულ ინფორმაციას მიაწვდიან. გარდა ამისა, როგორც "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დასძინა, "შექმნილი ფგუფი უცხოელებს პერიოდულად აცნობებს, თუ რა ხდება ოპოზიციაში, საზოგადოებაში და რა პროვოკაციებს აწყობს ხელისუფლება."



ბაზრძალაბა A3 გვირდვა

## განხეთქილება სომხეთის ხელისუფლებაში

"დაშნაკცუთიუნმა" კოალიცია დატოვა

ივა შილაკაძე

თურქეთთან ურთიერთობების დათბობამ სომხეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. "საგზაო რუკის" შეთანხმების შესახებ 22 აპრილს შვეიცარიაში გაკეთებული განცხადება, რომლის შინაარსიც ჯერ ოფიციალურად არ გახმაურებულა, გარკვეულ ეჭვებს ბადებს. სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე,

სომხეთში ბევრს მიაჩნია, რომ მათი მთავრობა შეიძლება უფრო გამოცდილი თურქეთის დიპლომატიურ მახეს წამოეგოს და მომავალში ეროვნული ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებებზე დათანხმებაც მოუწიოს. ოპოზიციაში უკვე გაისმა სიტყვა "ლალატი". ოპოზიციის ასეთი რეაქცია მოსალოდნელიც იყო, თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკურ კურსთან უთანხმოების გამო გუშინ მმართველი კოა-

ლიცია დატოვა ერთ-ერთმა უძველესმა სომხურმა პარტიამ, სომხეთის რევოლუციურმა ფედერაციამ "დაშნაკცუთიუნმა". პრინციპში, ეს პარტიაც ტრადიციულად მკვეთრი რადიკალურ-ნაციონალისტური პოზიციით გამოირჩევა და მისი ასეთი რეაქციაც მოულოდნელად არ უნდა მივიჩნიოთ. "საგზაო რუკის" შინაარსი არაოფიციალურად (წყაროს დაუსახელებლად) გამოაქვეყნა ერთ-ერთმა თურქულმა გაზეთმა. მასში 5 პუნქტია: 1. ყარსის

1921 წლის ხელშეკრულების აღიარება სომხეთის მხრიდან; 2. თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა (დახურულია 1993 წლიდან თურქეთის მიერ); 3. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; 4. ისტორიკოსების ერთობლივი კომისიის შექმნა გენოციდის საკითხის გამოსაკვლევად, და 5. დოკუმენტის დამტკიცება თურქეთის პარლამენტის მიერ (სომხეთის პარლამენტზე არაფერია ნათქვამი).

ბაზრძალაბა A8 გვირდვა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:












# "ჯენტლმენური შეთანხმება დაცულია"

ლუკაშენკო პრეზიდენტი არ წავა

## მარიკა იაშვილი



ალექსანდრ ლუკაშენკო

ბელარუსის ლიდერი ალექსანდრ ლუკაშენკო "აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამისადმი მიძღვნილ ევროკავშირის სამიტზე არ წავა, წერს "ფრანკფურტერ რუდოლფი".

გამოცემა ინფორმაციას "მაღალჩინოსან დიპლომატზე" დაყრდნობით ავრცელებს. მისი თქმით, არსებობს "ჯენტლმენური შეთანხმება", რომლის თანახმადაც, ლუკაშენკო 7 მაისისთვის დაგეგმილ სამიტში მონაწილეობას არ მიიღებს, ქვეყანას კი პრეზიდენტი სხვა ოფიციალური პირი წარადგენს.

მინსკის ოფიციალურად ჯერ კიდევ არ განუცხადებია, თუ ვინ იქნება სამიტზე ბელარუსის წარმომადგენელი, თუმცა "ბრიუსელის შიდა წრეებში" უკვე ლაპარაკობენ, რომ ლუკაშენკო სამიტში პირადად მონაწილეობით დაინტერესებული არ არის, რადგან ესმის, რომ ევროპის სახელმწიფო ლიდერთა უმეტესობა მასთან პირდაპირ კონტაქტს თავს აარიდებს, - აღნიშნავს გერმანული გაზეთი.

7 მაისს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურები პრეზიდენტი შეიკრიბებიან, რათა "აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამის განხორციელება დაიწყონ, რომელიც, ბელარუსის გარდა, საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას, სომხეთსა და აზერბაიჯანს მოიცავს.

სამიტზე ლუკაშენკოს მიწვევამ ნამდვილი სკანდალი გამოიწვია. მიწვევა ბელარუსის ლიდერს 17 აპრილს ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ შვარცენბერგმა მინსკში ვიზიტის დროს გადასცა. ლუკაშენკოს მისთვის კონკრეტული პასუხი არ გაუცია, თუმცა განაცხადა, რომ მზად

არის ევროკავშირთან ურთიერთობა დაარეგულიროს და თანაც შუამავლების გარეშე.

თუმცა, როგორც ჩეხეთის სახელმწიფოს მეთაურის პრესსპიკერმა რადიმ ოხვატამ განაცხადა, პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი "ცოტა არ იყოს, გაოცებული" დარჩა და ლუკაშენკოს მიღებას არ აპირებს. ბელარუსსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა 2006 წლის მარტში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეწყდა. არჩევნების შემდეგ ევროკავშირმა ლუკაშენკო და მთელი რი-

გი ბელარუსელი მაღალჩინოსნები "საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების დარღვევასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე და დემოკრატიულ ოპოზიციასზე ზეწოლაში" დაადანაშაულა.

ოფიციალური მონაცემებით, ბელარუსსა და ევროკავშირის ურთიერთობაში პოზიტიური დინამიკა 2007 წლიდან დაიწყო. 2008 წლის აპრილში კი მინსკში ორგანიზაციის წარმომადგენლობაც გაიხსნა. სწორედ მაშინ იქნა მიღებული ბელარუსის ხელისუფლებასთან ოფიციალუ-

რი კონტაქტის აღდგენისა და მთელი რიგი სანქციების გაუქმების გადაწყვეტილება.

კერძოდ, 2008 წლის აგვისტოში, შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების წინ, ლუკაშენკომ დასავლეთის საპასუხოდ გარკვეული ნაბიჯები გადადგა - გაათავისუფლა ყველა პოლიტპატიმარი. გაცრეცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში ბელარუსში სიკვდილით დასჯაც გაუქმდება, რაც დასავლეთის ერთი მთავარი მოთხოვნა იყო.

2009 წელს ბელარუსში ოფიცია-

ლური ვიზიტით ჩავიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხავერდოვანი. ეს პირველი მაღალი რანგის დიპლომატი იყო, რომელიც ბელარუსს 2006 წლის შემდეგ ესტუმრა. შეხვედრის შემდეგ ორივე მხარემ ურთიერთობების დათბობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

"აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამაში ბელარუსის ჩართვას ბრიუსელში 27 ქვეყნის წარმომადგენელმა მხარი 23 თებერვალს დაუჭირდა. ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროგრამაში ბელარუსის ჩართვა ცხინვალის და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის აღიარების მიმართ მინსკის პოზიციით ახსნა.

2008 წლის ბოლოს ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მზად არის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას იმ შემთხვევაში მონაწილეობა, თუ ეს ბელარუსის ხალხის ნება იქნება, თუმცა ეს დღემდე არ გაუქმებია.

"აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამა, რომელიც მის მონაწილე მხარეებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს, მაგრამ არ კისრულობს ვალდებულებას ორგანიზაციაში განუერთიანების შესახებ, სტარტს ოფიციალურად 7 მაისს აიღებს. შედეგად ექვსი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და ბელარუსი - 2013 წლამდე დამატებით მიიღეს ფინანსურ დახმარებას 350 მილიონი ევროს ოდენობით.

ოფიციალური ინფორმაციით, პროექტი მიზნად ისახავს თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მოლაპარაკებების პროცესისა და სავიზო რეჟიმების გამარტივებას.

# სოჭის მერი არჩეულია


## ივან შილაჩაძე

კვირას გაიმართა რუსეთის "ოლიმპიური დედაქალაქის", სოჭის მერის არჩევნები, რომელიც მნიშვნელოვანი ფედერალური დონის უტოლდებოდა - ცხადია, არაოფიციალურად. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "გაუგებრობები" არ დაეშვა. ფინანსმდებოცედიდან მხოლოდ ექვსმა კანდიდატმა მიაღწია, ისიც, ეტყობა, დემოკრატიულობის ფასადის შესანარჩუნებლად. შედეგების მიხედვით, პირველივე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა მმართველი პარტიის წარმომადგენელმა, სოჭის მერის მოვალეობის ამჟამინდელმა შემსრულებელმა ანატოლი პახომოვმა, მან ხმების 76,8% პროცენტი მიიღო. ყველაზე "რადიკალი" ოპოზიციონერი, მოძრაობა "სოლიდარობის" ლიდერი, რუსეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი ბორის ნემცოვი მეორე ადგილზე გავიდა (?) - ხმათა, სულ რაღაც, 13,6 პროცენტით, მესამეზეა "კომპარტიის" წარმომადგენელი ალექსეი კოლესნიკოვი - 1,27 პროცენტი, ხოლო მეხუთე და მეექვსე ადგილები შესაბამისად გაინაწილეს ბიზნესმენებმა პაველ ემელიანენკომ - 1 პროცენტი და ვლადიმერ ტრუხანოვსკიმ - 0,5 პროცენტი.

ანატოლი პახომოვი ორიოდე თვეა, სოჭის მერის მოვალეობებს

ასრულებს. ადრე ის ანაპის მერი იყო. მას რეგიონის გარეთ აქამდე არავინ იცნობდა, მმართველმა პარტიამ აქცენტი გააკეთა მის, როგორც კარგი მეურნეს იმიჯზე. როგორც ჩანს, მან სამეურნეო საქმისა და უფროსების მორჩილების მეტი არაფერი იცის, საჯაროდ ლაპარაკსაც ვერ ახერხებს, რადგან არჩევნებში ისე გაიმარჯვა, რომ პრესასთან ერთხელაც არ გამოჩენილა. ყურნალისტები მას საარჩევნო უბანზეც ჩაუსაფრდნენ იმ იმედით, რომ ორიოდე სიტყვას დააცდენინებდნენ, მაგრამ მალე გაიარკვა, რომ პახომოვმა სადღაც სხვა უბანზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში მისცა ხმა.

ხელისუფლებამ სხვადასხვა, ზოგჯერ ყურით მოთრეული საბაბით რეგისტრაცია გაუქმა თითქმის ყველა კანდიდატს, ვისაც პახომოვისთვის ხმების წართმევა შეეძლო. საარჩევნო მართონიდან წინაწარ მოხსნილთა შორის ყველაზე წინაინი ფიგურა ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ალექსანდრ ლებედევი იყო ("ნოვია გაზეტას" ყველაზე მსხვილი აქციონერი). ოპოზიციონერების წინააღმდეგ საკმაოდ ბინძურად გამოიყენეს წინასაარჩევნო ტექნოლოგიებიც. ოპოზიციონერები არ მიუშვეს ადგილობრივ მედიასთან. ნემცოვს ხან კორეის აგენტობა დასწამეს, ხან კიდევ სხვა ცოდვები, "კომპარტიის" წარმომადგენლის წინააღმდეგ მისი ეროვნებაც გამოიყენეს. იური ძაგანია მიიჩნევს, რომ ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო ცოტა



ანატოლი პახომოვი

ხნის წინ ქართველი "ჯაშუშის დაკავება" და რუსეთის მოქალაქე აფხაზეთისთვის საზღვარზე გახსნილ უბანზე არჩევნებში მონაწილეობის საშუალების მიცემა. თუმცა იქ დიდი აქტიურობა არ ყოფილა. ნემცოვის მომხრეების მიერ ჩატარებული ეგზიტ-პოლესის მიხედვით, პახომოვმა, დაახლოებით, 46 პროცენტი მიიღო, ნემცოვმა - 35 პროცენტი, ხოლო ძაგანიამ - 17 პროცენტი. შესაბამისად, ლოკალუ-

რი იყო მეორე ტურის დანიშნვა, მაგრამ ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ მთელ მოსახლეობას - მასწავლებლებს, ექიმებს, პოლიციელებს, სამხედროებს და ქალაქის სამსახურების წარმომადგენლებს იძულებით გამოაყენებინეს წინასწარი ხმის მიცემის უფლება, მათი მონაცემები კი ეგზიტ-პოლესში ვერ მოხვდა. ცხადია, ეს სულ პახომოვისთვის

მიცემული ხმებია. ამ ხალხის რიცხვმა, დაახლოებით, 30 ათასი კაცი შეადგინა - მთელი რეგისტრირებული ამომრჩევლების 11 პროცენტი. მთლიანად არჩევნებში კი ხმის უფლების მქონე მოსახლეობის, სულ რაღაც, 42-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა - დაახლოებით, 80 ათასმა კაცმა. კანონით მათი ხმები ცალკე უნდა დაეთვალათ, თუმცა უბნების უმრავლესობაში ეს არ გაუქმებია...

არჩევნებში მომხდარ მასობრივ ფალსიფიკაციაზე გააკეთა განცხადება მისილ კასიანოვმა (პუტინის პრეზიდენტობის დროს ყოფილი პრემიერი დღეს ოპოზიციამა). "ერთიანი რუსეთის" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა კი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სოჭის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა პოლიტიკურ ექსპერიმენტებს და არჩევანი პროფესიონალ მეურნეზე შეაჩერა. ეტყობა, მხედველობიდან "გამორჩა", რომ ამ მხრივ ნემცოვს გამოცდილება გაცილებით მეტი აქვს და უფრო მაღალ დონეზე.

ბორის ნემცოვიც და "კომპარტია" არჩევნების შედეგების გასაჩივრებას აპირებენ. იურიდიული საფუძველი საკმარისზე მეტია, თუმცა რისი მიღწევა შეიძლება რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ადვილი გამოსაცნობია. საარჩევნო დარღვევებზე ლიად საუბრობენ როგორც დასავლური სააგენტოები, ისე რუსული მედიის ნაწილიც.

# განხილვა სომხეთის ხელისუფლებაში

პირველი გვარდიან

ოფიციალურად "საგზაო რუკა-ში" არ მოხვედრილა ყარაბაღის საკითხი, თუმცა ის არაოფიციალური ულტიმატუმის სახით მაინც ძალაშია თურქეთის ხელისუფალთა ოფიციალური განცხადებების თანახმად.

სომხეთის პრეზიდენტი ოფიციალურად უარყოფს ყარაბაღის საკითხის განხილვას თურქეთთან მოლაპარაკებების დროს. იგი ასევე მიიჩნევს, რომ გენოციდის თემა ვაჭრობის საგანი არ არის.

"დაშნაკცუთიუნი" ბოლო არჩევნების შემდეგ, სხვა სამ პარტიასთან ერთად ("რესპუბლიკური პარტია", "აყვაგებულის სომხეთი", "კანონიერების ქვეყანა"), სახელისუფლებო კოალიციას ქმნიდა. მას ეკუთვნოდა მინისტრების სამი პორტფელი, ვიცე-სპიკერის პოსტი პარლამენტში და რამდენიმე საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელის თანამდებობა. "დაშნაკცუთი-

უნმა" ყველა ამ თანამდებობებზე უარი თქვა და ოპოზიციაში გადავიდა. პარტია საკუთარ განცხადებაში განმარტავს, რომ პრინციპულად სულაც არ ენინაღმდეგება თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების ხარჯზე. მათ მიანჩნიათ, რომ თურქეთის მიერ გენოციდის აღიარება აუცილებელი პირობაა. დაშნაკები ფიქრობენ, რომ არ იყო სწორი სომხეთ-თურქეთის ერთობლივი განცხადების გაკეთება 24 აპრილის წინ. მათი აზრით, ერთი თვით ადრე ან გვიან ასეთი მძაფრი რეაქცია არავის ექნებოდა. დაშნაკები უკმაყოფილოები არიან, რომ ისინი მოლაპარაკებების საქმის კურსში არ იყვნენ. პარტია "დაშნაკცუთიუნი" თავისი მომავალი ოპოზიციური საქმიანობის პრინციპებს და მიმართულებებს რამდენიმე პუნქტად აყალიბებს. ისინი, ძირითადად, შიდა ურთიერთობებს ეხება. საგარეო პოლიტიკაში, უფრო ზუსტად კი თურ-



სერჟ სარგსიანი

ქეთთან ურთიერთობისა და მთიანი ყარაბაღის საკითხში ეროვნული სახელმწიფო ინტერესებითა და მიზნებით იხელმძღვანელებენ.

დაშნაკების ოპოზიციაში გადასვლა "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელმა არმენ ამოტიანმა ტაქტიკურ ნაბიჯად შეაფასა. მისი აზრით, ამ პარტიას 2012 წლის არჩევნებისთვის სახელისუფლებო პარტიის იმიჯის მოცილება უნდა და დღევანდელი მოვლენები მხოლოდ საბაბია. ამოტიანი ფიქრობს, რომ დაშნაკებს ეს ალბათ არ გამოუვართ. თანაც, ამ ნაბიჯით დაშნაკები "სომხეთის ეროვნულ კონგრესს" ოპოზიციურ სივრცეში მონოპოლიურ სტატუსს ართმევენ. ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის სტატუსს კარგავს პარტია "მემკვიდრეობაც".

"საგზაო რუკის" შინაარსის გამოქვეყნება მაისშია მოსალოდნელი. ამის შემდეგ სიტუაცია უფრო გაირკვევა და ანალიზის მეტი საფუძველიც გვექნება.

# გამომრიცხავი ცნობები ბინ ლადენზე

მარიკა იახვილი

"ალ ქაიდას" ლიდერი უსამა ბინ ლადენი შეიძლება უკვე გარდაცვლილი იყოს, - მიაჩნია პაკისტანის პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარის.

მისი თქმით, მიუხედავად ამერიკელების მიერ პერიოდულად გავრცელებული ინფორმაციებისა, თითქოს მსოფლიოს "ნომერ პირველი ტერორისტი" პაკისტანის ტერიტორიაზე იმალედა, მისი ადგილმდებარეობა არავისთვის არის ცნობილი. უსამა ბინ ლადენის კვალის პოვნას ვერც პაკისტანელი სამართალდამცველები ახერხებენ. "არავითარი სიახლე არ არის," - ამბობს ზარდარი. პაკისტანელი ლიდერი აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ისლამისტების ლიდერი უკვე ცოცხალიც აღარ არის, თუმცა არც ეს ინფორმაცია დასტურდება.

10 მარტს უსამა ბინ ლადენს 52 წელი უნდა შესრულებოდა. გასულ თვეს სატელევიზიო არხმა "ალ-ჯაზირამ" მისი მორიგი აუდიოიმართვის ფრაგმენტები გაავრცელა. მიმართვაში ბინ ლადენი მთელი რიგი არაბული სახელმწიფო მეთაურების ლიდერებს დასავლეთთან ისლამური სამყაროს წინააღმდეგ შეთქმუ-

ლებაში სდებდა ბრალს.

ზოგიერთი მონაცემით, ბინ ლადენს ბოლო დროს ჯანმრთელობა ლალატობს. გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუმცა ამის დადასტურება ვერ მოხერხდა. ანალიტიკოსები მის შესახებ დაზვერვის მონაცემების შეგროვებას განაგრძობენ და იმედი აქვთ, რომ მოუხელთებელი ისლამისტის კვალზე გასვლას შეძლებენ. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ამერიკულმა დაზვერვამ მიიღო ინფორმაცია, თითქოს "ალ-ქაიდას" ლიდერი პაკისტანში იმალებოდა. ცნობილია, რომ ავღანეთში ანტიტერორისტული კოალიციის ჯარების შესვლის შემდეგ ისლამისტთა ბევრმა ლიდერმა თავი პაკისტანს შეაფარა. უსამა ბინ ლადენი მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად 2001 წლის 11 სექტემბერს, ამერიკაში მომხდარი ტერაქტების შემდეგ გამოცხადდა. ტერაქტიდან დღემდე ისლამისტთა ლიდერის არაერთი ვიდეო და აუდიოიმართვა გავრცელდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა.

დღემდე მოიაზრება, რომ ნომერ პირველი ტერორისტი თავს სწორედ



ბინ ლადენი

პაკისტანს აფარებს, თუმცა ქვეყნის წინა პრეზიდენტი მუშარაფი ამ ფაქტს არ აღიარებდა და აცხადებდა, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე ამე-

რიკული სამხედრო ძალების ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება ქვეყნის სუვერენიტეტს დაარღვევდა. მიუხედავად ამისა, ამერიკული

უპილოტო თვითმფრინავები რეგულარულად ბომბავენ ტერორისტთა ბაზებს, რომლებიც პაკისტანისა და ავღანეთის სასაზღვრო ზოლში მდებარეობს. 2008 წლიდან დღემდე უპილოტო თვითმფრინავებმა პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში ოცდაათზე მეტი სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, რასაც 340-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამერიკელთა მიერ ჩატარებული ოპერაციები "ალ-ქაიდას" მხრიდან არაერთი მუქარის მიზეზი გახდა. ტერორისტები აცხადებენ, რომ თუ ამერიკა თავდასხმებს არ შეწყვეტს, ისინი ტერორისტულ აქტებს არა მხოლოდ პაკისტანის დიდ ქალაქებში, არამედ აშშ-ს ტერიტორიაზეც განახორციელებენ და ერთ-ერთი პირველი სამიზნე თეთრი სახლი იქნება.

ვაშინგტონში კი მიიჩნევენ, რომ პაკისტანში ტერორისტთა პოზიციები თანდათან მყარდება და დაბომბვების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური ისლამაბადის მოთხოვნაზე არ რეაგირებენ. მეტიც, გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ პაკისტანის ხელისუფლება ტერორისტების წინააღმდეგ საკმარისი ძალით არ იბრძვის და მათ ხელს აფარებს.

**საბავშვო საკომისიო მაღაზია**

**ქ ო ქ ი ნ ა**


**მაღალი ხარისხის საბავშვო საქონელი ყველაზე იაფად!**

- 15 ლარი: ბავშვის ბავშვობის ცენტრი
- 15 ლარი: წითელი საბავშვო კაბი
- 10 ლარი: ვარდისფერი საბავშვო კაბი
- 3 ლარი: ორნარი ტანსაცმელი
- 10 ლარი: მუხრანის ტანსაცმელი
- 5 ლარი: ზედა ტანსაცმელი
- 10 ლარი: ლურჯი ტანსაცმელი
- 5 ლარი: ფეხსაცმელი
- 10 ლარი: ფეხსაცმელი
- 10 ლარი: ფეხსაცმელი
- 10 ლარი: ლურჯი ტანსაცმელი
- 50-150 ლარი: ბავშვის ხელბეჭდილი

ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N6, ტელ: 897 46 25 26, 855 100 809. [www.welcom.ge/chochina](http://www.welcom.ge/chochina); E-mail: [chochina.chochina@gmail.com](mailto:chochina.chochina@gmail.com),



# რევოლუ



კიევში ორი დღის წინ ბოდინარტის ფესტივალი დაიწყო. მხატვრებმა, დიზაინერებმა და უბრალოდ მოყვარულებმა ქალაქი, ნაჭერი და ტილო მოდელის ლამაზი სხეულებით ჩაანაცვლეს. ფესტივალს პირობითად "2009 წლის ყველაზე ლამაზი სეზონი" დაარქვეს და აჭრელეული სხეულებით 2009 წელს ცოტა იმაზე მეტი ოპტიმიზმი შემატეს. ვიდრე ის სინამდვილეში იმსახურებს.


AFP - 2009

## ქართული თეატრი პირტუალურ სივრცეში

ჩვენი თეატრების ვებგვერდების შექმნის რეზიუმე II ნაწილი II

### ლაშა ჩხარტიშვილი

უწყურდალებოდ მიტოვებული უფუნქციო ქართული თეატრების ვებგვერდების პარალელურად, საბედნიეროდ, არსებობს ვებგვერდები, რომლებზედაც ინფორმაცია მუდმივად განახლებადია, ტექსტები კი მუდმივი დახვეწის პროცესშია. ამ "დებულების" გამოთქმისას უმაღლეს მასშტაბზე მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების ვებგვერდები. გარდა იმისა, რომ ამ თეატრების ვებგვერდებზე შეგიძლია გაიგო მიმდინარე თვის აფიშა, ყველაზე ოპერატიულად (სხვა თეატრებთან შედარებით) იგებ ინფორმაციას პრემიერის სამზადისისა და სხვა სიახლეების შესახებ. ვინც განვერია-ნებულია სიახლის მიმღებ პირთა ქსელში, საკუთარ ელექტრონულ მისამართზე პერიოდულად იღებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამ თეატრებში მიმდინარე პროცესების შესახებ, თანაც ისე, რომ დაგეგმო დღე პრემიერაზე, ან პრესკონფერენციაზე დასასწრებად, რასაც ვერ ვიტყვი



სამეფო უბნის თეატრზე. მართალია, დიზაინის თვალსაზრისით ორიგინალური ვებგვერდი აქვს სამეფო უბნის თეატრს (rd-theatre.ge), მაგრამ სიახლეების გაგება ამ ვებგვერდიდან ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. სამეფო უბნის თეატრის ვებგვერდზე შესვლისთანავე იპიფრება ამ თეატრის ლოგო, რომლის ანიმაციური (ფლეშ-ანიმაციური) ჩამოტვირთვის

შემდეგ შედისარ მთავარ გვერდზე. სადაც ყველა ის ტიპური ბმულია ქვემენიუებით, როგორც სხვა თეატრების ვებგვერდებზე. ქვემენიუში "ჩვენს შესახებ" შეხვედებით მოქმედი სპექტაკლების ჩამონათვალს, ფოტოგალერეას ორ ჯგუფად (სცენები სპექტაკლებიდან და თეატრის მიღმა მსახიობები), ისტორიას, პუბლიკაციებს, კონტაქტის გვერდს, ინ-

ფორმაციას თეატრის დამაარსებლების შესახებ. სამეფო უბნის თეატრის ვებგვერდს აქვს ვიდეოგალერეა, სადაც რამდენიმე სპექტაკლის ვიდეოკოლაჟის ნახვა შეგიძლიათ. ასეთი ვებგვერდების შექმნა-დამზადება, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ეს შეძლო თეატრმა, რომელსაც, სხვა თეატრებთან შედარებით, და-

ფინანსებაც ნაკლები აქვს და შემოსავალიც. მართალია, rd-theatre.ge-ზე სრულყოფილია ინფორმაცია "სპექტაკლების" გვერდზე (სპექტაკლების ავტორის, დამდგმელი ჯგუფის, მონაწილეების ჩამონათვალი, სპექტაკლის მოკლე ანოტაციით და შინაარსით), მაგრამ არასრულყოფილია და დაუსრულებელია ინფორმაცია ცალკეულ რეჟისორთა და მსახიობთა შესახებ. ზოგიერთი მსახიობის სახელობით ბმულს მხოლოდ ფოტოსურათი ახლავს ტექსტის გარეშე, ზოგიერთისას კი არც ერთი და არც მეორე. იგივე ითქმის მხატვრებზე და კომპოზიტორებზე. გაუგებარია, რატომ არის "თეატრის" გვერდში გაერთიანებული ქვემენიუს გვერდი: პარტიორები (ლოგოებით და ბმულებით). როგორც ჩანს, თეატრს პერსპექტივაში განსაზღვრული ჰქონდა ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა, რომელიც დღემდე ვერ განხორციელდა.

გაბრიელაბა A10 გვერდზე



# აფიშა

28 აპრილი

## თეატრი

**მიხეულ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**  
**“პეფენინგები”**  
 ლიტერატურული სადამო და ახალი ნიგნების  
 პრეზენტაცია  
 დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**  
**“დათვი” და “ხელის თხოვნა”**  
 თეატრალური უნივერსიტეტის სპექტაკლი  
 დასაწყისი: 20.00

**პანტომიმის თეატრი**  
**“დუმისის პოეზია”**  
 დასაწყისი: 19.00

## კინო

**“რუსთაველი”**  
**“დესპეროს თავგადასავალი”**  
 დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;  
**“მადაგასკარი 2”**  
 დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;  
**“მილიონერი გარეუბნიდან”**  
 დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15  
**“სხეულის გარეშე”**  
 დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15  
**“ცვლილება”**  
 დასაწყისი: 21.30

**“ამირანი”**  
**“თქვი დიას”**  
 დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15  
**“ნიკი და ნორა”**  
 დასაწყისი: 20.00  
**“ზღაპრები ძილის წინ”**  
 დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;  
**“სხვა სამყარო - 3”**  
 დასაწყისი: 22.00

**“საქართველო”**  
**“მადაგასკარი”**  
 დასაწყისი: 13.00; 15.00  
**“სხვა სამყარო”**  
 დასაწყისი: 19.00; 21.00  
**“სხეულის გარეშე”**  
 დასაწყისი: 17.00

## გამოფენები

**თიბისი გალერეა**  
 გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის გამოფენა

**“კოპალა”**  
 მარინა შნაიდერის პერსონალური გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი “ქარვასლა”**  
 იტალიის საელჩო გინვეთ გამოფენაზე -  
 “იტალიური სტილი”.

**“კამეა”**  
 ქართული მხატვრების ჯგუფური გამოფენა  
 (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის  
 ნაკეთობები...)

**“ორნამენტი”**  
 მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის  
 გამოფენა-გაყიდვა

## მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი სამხატვრო აკადემიაში


სამხატვრო აკადემიის მცირე გალერეაში “აკადემია +” პროექტის “თავისუფალი სივრცე” ფარგლებში მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი წარმოადგენს ვიტრინის პერფორმანსს “ნარცისიზმი”.

ვიდეოჩვენება დაიწყება 29 აპრილს საღამოს 7 საათზე და 5 მაისამდე ყოველ საღამოს განმორდება. ლექსიკონის თეატრის პროექტის ახალი სერია, სადაც ნაჩვენებია იქნება ყოფითი, ყოველდღიური ცეკვის ნიმუშები - ბუნების, ტრანსლაციის და სცენის გადაკვეთებში. ერთგვარი თამაში მდგომარეობით, სადაც ბუნებრივი ამბივალენტური ხდება ხელოვნურის და პირიქით.

იდეა ეკუთვნის დავით ჩიხლაძეს. მონაწილეობენ: შალვა კობალაძე, ირინა ხუციშვილი, მაია ბერიტაშვილი, გიორგი ბუნდოვანი, მარიკა ყორყორელიანი, ნინო ლომიძე, ვასო მაჭარაძე, ლევან მაისურაძე.

ლექსიკონის თეატრის პროექტი სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი იყო ოსტინში, ნიუ იორკსა და თბილისში, 1996-2008 წლებში. “24 საათი”

# ქართული თეატრი ვირტუალურ სივრცეში



## პირველი გვერდი

მთავარ გვერდზე არის კიდევ ამის მანიშნებელი გრაფიკული ნიშანი **eng**. აქვს ბილეთის დაჯავშნის სერვისიც, რომლის ფუნქციონირების გადამოწმება არ მიცდია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლი არ იმართებოდა.

რაც შეეხება რუსთაველის (rustavelitheatre.ge) და მარჯანიშვილის (marjanishvili.ge) თეატრების ვებგვერდებს: მათგან აკადემიურობით, შინაარსით და მარტივი მენიუთი მარჯანიშვილის თეატრის ვებგვერდი გამოირჩევა. მართალია, იგი მხოლოდ ქართულენოვანია, მაგრამ მასზე განთავსებული ინფორმაცია სრულყოფილია, სისტემატიზაციაშია მოყვანილი და ქვეყნიურ სახელებზე ადეკვატურია, თუმცა მინც უემარსობის გრძობას ინვესტს “ხალხის” რუსული კალკი, რომელიც მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრს არ დაუმიკვიდრებია ქართულ ვირტუალურ სივრცეში. “ხალხში” მსახიობებთან, რეჟისორებთან, კომპოზიტორებთან და მხატვრებთან ერთად შეხვედებით გასულიერებულ “მართვას”, როგორც ჩანს, ვებგვერდის შემქმნელებმა მმართველი ორგანოების პირებს სხვა გამაერთიანებელი სათაური ვერ მოუძებნეს. რაც შეეხება საკუთრივ ინფორმაციას, თეატრის პერსონალიზების შესახებ, ასევე მისი შინაარსის ისტორიას, კოტე მარჯანიშვილის, მუხეუმისა და ისტორიის კუთვნილება ქვეყნულ სპექტაკლების შესახებ ამომწურავია და სრულყოფილი ფაქტობრივი შეცდომების გარეშე. როგორც ჩანს, ვებგვერდის ტექსტი მომზადებულია თეატრის მცოდნეთა ჯგუფის მიერ. ვებგვერდზე შეგიძლიათ გაცივოთ პრესას, მაგრამ არასრულყოფილად, მხოლოდ იმ გახეთქიდან, რომლებსაც ელექტრონული ვერსია გააჩნიათ. სხვათა შორის, ვებგვერდზე პრესის გვერდზე თითქმის ვერ ნაპოვებიათ კრიტიკულ რეზიუმე, რომელიც აშკარად იბეჭდება პრესაში. **marjanishvili.ge** -ზე გაცივობით აგრეთვე სიახლეებს და პროექტებს. ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ გამოიწეროთ სიახლე და დაჯავშნოთ ბილეთიც.

რთული და ლაბირინთის მსგავსი მენიუ აქვს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ვებგვერდს (**rustavelitheatre.ge**). შექმნილია ერთ-ერთი უმსხვილესი და წარმატებული კომპანიის ITDC-ის მიერ). ხშირად გამიგონია კოლეგებისგან და ახლობლებისგან, რომ ვერ უპოვიან რუსთაველის თეატრის ვებგვერდზე ყველაზე მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი ქვეყნიურ ბმული “აფშა”, აღარაფერს ვამბობ ჭრელი “შპალერის” მსგავს ფონზე, რომელიც იმნაშველ ვებზე ბმულია. “მორბენალი” ფოტოების “დამოშინების” შემდეგ, წაწყვდებით აფიშას, რომელიც

რამდენიმე განყოფილებად არის დაყოფილი. ესენია მიმდინარე თვის აფიშა, მიმდინარე რეპერტუარი, სიახლეები და პრესა. ხოლო “თეატრის” გვერდზე შეხვედებით ინფორმაციას თეატრის ისტორიის, მუზეუმის, შინაარსის და სცენის შესახებ. შესაძლოა კამათს იწვევდეს საკითხების ასეთი დაჯგუფება, მაგრამ ყველაზე საკამათო რუსთაველის თეატრის ვებგვერდზე მაინც ის ინფორმაციაა, რომელსაც ისტორიაში ვიღებთ. თეატრის ისტორია დაშლილია წლების მიხედვით (1879-2008 წწ.), ანუ სპექტაკლოგრაფია და თეატრის ისტორია გაერთიანებულია, მაგრამ იგი მაინც არასრულყოფილია. ვებგვერდის შემქმნელებმა მხოლოდ ის სპექტაკლები მოიხსენიეს, რომელსაც თავად ავტორები, ან თეატრი თვლის მნიშვნელოვან დადგმად, რაც ჩემი აზრით, არამიზანშეწონილია, თუნდაც იმიტომ, რომ ვებგვერდი ვერ გვიქმნის სრულ მთავრადილებას თეატრის ასოციაციონალურ ისტორიაზე და დღეს, ღირებულება მუდმივი გადაფასების ფონზე, შეუძლებელია დაადგინო ამა თუ იმ სპექტაკლის ავტორიანობა და მნიშვნელობა თეატრის ისტორიაში. ასე რომ, რუსთაველის თეატრის ვებგვერდზე სპექტაკლოგრაფია და თეატრის ისტორია გაერთიანებულია, თუმცა ასეთი მეთოდი სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის ამ თეატრის ისტორიაზე, რადგან მხოლოდ რამდენიმე დადგმა ჩამოთვლილი კომენტარის გარეშე. რაც შეეხება სხვა ტექსტებს, მართალია სხვა თეატრების ვებგვერდებთან განსხვავებით ცარიელი არაფერია, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ამომწურავია, ან დამაკმაყოფილებელიაო. დასის გვერდზე შეხვედებით დახარისხებულ მსახიობებს ვარსკვლავებად და არა ვარსკვლავებად, მხატვრებს, კომპოზიტორებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს, აქვე ტექნიკურ-შემოქმედებითი პერსონალიც - რეჟისორის თანაშემწეები. მაგრამ მათზე ინფორმაცია, მართლაც რომ მწირია. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა ჩასატარებელია.

რუსთაველის თეატრის ვებგვერდი ორენოვანია, თუმცა თარგმნის პროცესი ბოლომდე არ არის დასრულებული. ვებგვერდს სხვა ვებგვერდებისგან განსხვავებით გააჩნია ფორუმი, (რომლის აქტიურ სივრცეში სუნარიანობაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება), პარტნიორების ბმულები და სხვა მომსახურების სახეობები.

დიდი ინტერესით ვკითხულობდი თავისუფალი თეატრის (**theatre.ge**), შექმნა გიორგი აბულაძემ ვებგვერდის ტექსტებს, რომლებიც არა მხოლოდ სტილით ჰგავს ერთმანეთს, არამედ შინაარსითაც. რაც შეეხება სტილს, უნდა აღინიშნოს რომ ტექსტები უანრობრივად თანამედროვე მხატვრული პუბლიცისტიკისა და მეტყობილური სინ-

თესს წარმოადგენს. ვებგვერდის ორიგინალობა მხოლოდ ტექსტების სტილში როდია. ამ ვებგვერდებზე ბევრი რამ უცნაური და საინტერესოა. სანამ უშუალოდ ვირტუალური ტექსტების რამდენიმე აბზაცს გაცნობთ, თვალი გადავავლოთ ვებგვერდის მარტივ მენიუს, რაც ამ ვებგვერდის, ღირსებად მიმაჩნია.

პირველ ყოვლისა თავისუფალი თეატრის ვებგვერდი ერთდერთი მოქმედ სათეატრო ვებგვერდებს შორის, რომელსაც სრულყოფილი სამეზობანი (ქართული, რუსული, ინგლისური) ექვსია გააჩნია. **theatre.ge**-ს მენიუში: სპექტაკლები, აფიშა, დასი (რეჟისორები, მსახიობები, ტექნიკური პერსონალი), რეპერტუარი, სპექტაკლები (ფოტოები მალალი ხარისხით), ფოტო და ვიდეო გალერეები, სწორედ ფოტოგალერეის ბოლოში განთავსებული (რატომაც) ტექსტი: “თეატრს მეორე სართულზე აქვს პატარა კაფე “შექსპირი”, სადაც შეგიძლიათ სპექტაკლის შემდეგაც დარჩეთ და ყავა დალიოთ. კაფე მხოლოდ სპექტაკლზე მომსვლელთათვისაა, ამიტომ იქ ვერ შეხვედებით უცხო სტუმრებს, სამაგიეროდ, ნახავთ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს (პაემანი მსახიობებთან - ლ.ჩ.), რომლებიც სპექტაკლის დასრულების შემდეგ აუცილებლად ამოდიან კაფეში” (ნეტა “კავკასიურის” დასრულების შემდეგაც? - ლ.ჩ.).

ყველაზე აზარტული ჩემთვის დასის ნევრებზე დაწერილი ტექსტების კითხვა აღმოჩნდა, რომელმაც ისე გამოიტაცა და ჩამითრია, რომ უკლებლივ ნამაკითხა ყველა. იქნებ ტექსტების ასეთი სტილი ერთგვარი ხერხია ვებგვერდის დამთავლიერებლებისთვის, სწორედ ისეთი, რომელმაც ჩემზე გასჭრა, მაგრამ ვფიქრობ, მთავარი არის როგორ ინფორმაციას იღებ და არა ის, რომ ბოლომდე კითხულობ ყველაფერს, თუმცა როგორც იტყვიან “აღამიანა და ხასიათი”. როგორც თავისუფალი თეატრის ვებგვერდიდან შევიტყვე ერთერთი ახალგაზრდა რეჟისორი “შესანიშნავი ქართული პედაგოგია და რეჟისორი ყოფილი” (?!-ლ.ჩ.) მართალია, ის მართლაც წარმატებული პედაგოგია, მაგრამ ეპითეტს “შესანიშნავი” რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის მიმართაც იშვიათად იყენებენ, იმის მიუხედავად, რომ მათ მართლაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული თეატრის განვითარებაში. ან კიდევ, მეორე: “მართალია შესანიშნავმა რეჟისორმა N-მა თავისუფალ თეატრში განახორციელა მხოლოდ ერთი სპექტაკლი “M” და ნოველა სპექტაკლში “K” (თუ კი, ავტორი ნოველას ნახევარ სპექტაკლად მიიჩნევს, მაშინ ამ რეჟისორს ერთნახევარი სპექტაკლი განუხორციელებია, არადა დღემდე ნებისმიერი უანრის და ქრონომეტრაჟის სპექტაკლი ერთ სპექტაკლად ითვლებოდა -

ლ.ჩ.), მაგრამ მან უზარმაზარი როლი ითამაშა თეატრის ცხოვრებაში (ქვირფასო მკითხველო, სტურუა ან ჩხეიძე ტყუილად გგონიათ, ავტორს უნდოდა ეთქვა თავისუფალი თეატრის ცხოვრებაში, ნურც ამ თეატრის დამაარსებელ - შემქმნელზე ავთო ვარსიმაშვილზე გაქვთ ეჭვი, სულ სხვაზეა საუბარი), რადგან მის მიერ მოყვანილი მონაფეხები წარმოადგენენ დღეს თავისუფალი თეატრის სახეებს (ამ ინკოგნიტო პიროვნებაში ნურც შალვა განერელიას და გიორგი შალუტაშვილს იგულისხმებთ, რომელთა მონაფეხები მართლა წარმოადგენენ დღეს თავისუფალ თეატრს - ლ.ჩ.). რეჟისორების სახელობითი გვერდები ვებგვერდზე ამით არ მთავრდება, მაგრამ ასეთ მალალ შეფასებას ვერ ნაიკითხავთ ვერც ავთო ვარსიმაშვილზე, ვერც გოჩა კაპანაძეზე. აღმატებითი ხარისხის ეპითეტები მხოლოდ ერთ მსახიობზე ვრცელდება - ნიკო გომეზაურზე (იგი მოხსენიებულია როგორც თავისუფალი თეატრის “ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახე”, არადა ნიკო გომეზაურზე ნაკლები “ცნობადი სახეები” არ მოღვაწეობენ თავისუფალ თეატრში, იგივე ჯაბა კლავაძე, მაია დობორჯიანიძე და სხვები). მსახიობების და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელების კოლეგების სახელობით ვირტუალურ გვერდებზე, მათი ბიოგრაფიული მონაცემების და შემოქმედებითი გზის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში გაეცნობით კონკრეტულ კომენტარებს ავთო ვარსიმაშვილის ნიგნებიდან “შავ-თეთრი ნიგნი ბევრი სათაურით”.

თავისუფალი თეატრის ვებგვერდზე შეხვედებით ფორუმს, რომელთა ბოლო მეტყობინებები უფრო მეტად სერიალს “შუა ქალაქში” ეძღვნება, ვიდრე თავისუფალი თეატრის სპექტაკლების განხილვა-ანალიზს.

ასე, რომ ქართული თეატრების ვებგვერდები მშვენივრად ხატავს თითოეული თეატრის მეჯვემენტის სახეს, თეატრების მარკეტინგული სამსახურისა, თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ქმედითუნარიანობას. ერთობლიობაში კი ქართული თეატრების ვებგვერდები ზოგადად ხატავენ ქართული თეატრის სურათს - დაუხვეწელს, ძიების გზაზე შემდგარს, უყურადღებოდ მიტოვებულსა და მოუვლელს, თუმცა ზოგიერთი ვებგვერდი აკადემიურია და სრულყოფილი, რაც იმედაც ვგავლევს, რომ სხვა ვებგვერდებზე ისე დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება, როგორც ოპერის და ბალეტის, გრიობედოვისა და მარჯანიშვილის თეატრების ვებგვერდები.

**P.S.** სულ ახლახან ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის ვებგვერდი **puppet-show.ge**, რომელიც პირველი ვებგვერდი საქართველოში თოჯინურ და საყმანვილო თეატრებს შორის.

# დამწერლობა თუ სიმბოლოთა კრებულნი?

პიქტოგრამები, რომლებიც ინდის ხეობის ცივილიზაციის არაერთ ბეჭედზეა შემორჩენილი, ენის ზეპირ ჩანაწერს წარმოადგენენ და არა სიმბოლოთა კრებულს. ამ დასკვნამდე ამერიკის ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარები მივიდნენ. მეცნიერთა ჯგუფს სათავეში პროფესორი რაჯეშ რაო (Rajesh Rao) უდგას. მკვლევარებმა პიქტოგრამების ანალიზისას სტატისტიკური მეთოდების მთელი რიგი გამოიყენეს და დასკვნები ჟურნალში Science გამოაქვეყნეს.



ინდის ხეობის ე.წ. დამწერლობა ბეჭედებსა და სხვა საგნებზე გამოსახულ ნიშანთა თანმიმდევრობაა. წარწერათა სიგრძე, საშუალოდ, ოთხი ან ხუთი ნიშნისგან შედგება. ყველაზე გრძელი თანმიმდევრობა 27 ნიშანს მოიცავს. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნიშნები იშვიათად მეორდება.

2004 წელს სამმა მკვლევარმა - სტივ ფარმერმა (Steve Farmer), რიჩარდ სპოათმა (Richard Spoot) და მაიკლ ვით-

ბითი ენთროპია გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ხელოვნურ ენებში, მაგალითად, Fortran-ის პროგრამირების ენაში, თანმიმდევრობა საკმაოდ მყარია, შესაბამისად, მათი ენთროპიულობა მცირეა. ცოცხალ ენათა ნიშნებზე ჩანერილი სიტყვები კომბინაციითაა დემონსტრირებას ახდენენ, იქ ენთროპია უფრო მაღალია, ვიდრე ხელოვნურ ენებში. პროფესორ რაოს დასკვნების თანახმად, ინდის ხეობის

ცივილიზაციის ნიშანთა თანმიმდევრობის ენთროპია ცოცხალი ენის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

თუ რაოს ჰიპოთეზა დადასტურდა, მაშინ ინდის ხეობის ცივილიზაცია დამწერლობითად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერ შეუსწავლელია საკითხი, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ და შესაბამისად, წერდნენ იმ კულტურის წარმომადგენლები, რომელიც ძვ.წ.აღ-ის მესამე ათასწლეულში აყვავდა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჟურნალში Science რაჯეშ რაოს სტატიის გამოქვეყნებიდან 24 საათის შემდეგ სტივ ფარმერმა, რომელსაც მიაჩნია, რომ ინდის ხეობის ცივილიზაციას დამწერლობა არ ჰქონდა, გამოაქვეყნა ე.წ. უარყოფა, სადაც რაოსა და მისი ჯგუფის მეთოდოლოგიურ სისუსტეზე საუბრობს. ის პროფესორის პოლიტიკურ ანგაჟირებულობაზე მიუთითებს: ინდოეთის სტირდებზე მტკიცებულება, რათა საკუთარი კულტურის პირველობა დაადასტუროს, - აცხადებს ფარმერი.

## ელტონ ჯონსა ქონების მეოთხედი დაკარგა

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბრიტანულ შოუ-ბიზნესზე დიდი გავლენა მოახდინა. გაზეთმა The Times-მა დიდი ბრიტანეთის მუსიკალური ინდუსტრიის ყველაზე მდიდარი წარმომადგენლების ყოველწლიური სია გამოაქვეყნა - უმეტესობა მათგანმა თავიანთი სახსრების 10-დან 30 პროცენტამდე დაკარგა. ამ მდგომარეობის შესაბამისად, ლეგენდარულმა შემსრულებელმა ელტონ ჯონმა, რომლის ქონებასაც გასულ წელს 235 მილიონ ფუნტ სტერლინგად აფასებდნენ, თავისი სახსრების მეოთხედი დაკარგა. მიუხედავად ამისა, მუსიკოსის შემოსავალი ძველებურად შთამბეჭდავი - 175 მილიონი ფუნტია. მომღერალ ჯონის კაპიტალი, რომელიც 2008 წელს 170 მილიონ ფუნტს შეადგენდა, 24 პროცენტით შემცირდა. 33 პროცენტით უფრო ნაკლები შემოსავალი გაუხდა პროდიუსერ საიმონ ფულერსაც, რომელიც ცნობი-

ლი გახდა ტალანტების შოუს Pop Idol-ის შექმნით. ექს-"ბითლის" პოლ მაკარტნის ფულადმა მარაგმა 12 პროცენტის კლებადაა განიცადა, "როლინგის" მიკ ჯაგერის - 16 პროცენტის, ხოლო სკანდალური სოულ მომღერალის, პრემია "გრემი"-ს მფლობელი ემი უაინჰაუსის დანაზოგი ორჯერ შემცირდა და უკანასკნელი წლის განმავლობაში მას არცერთი ალბომი არ გამოუშვია. იგი ძირითადად პირადი პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული.

ყველაფრის მიუხედავად, მუსიკალური ინდუსტრიის წარმომადგენელი 50 მილიონერიდან მხოლოდ შეიძლება შეძლოს ფინანსური დანაკარგისგან თავი დაეჭვინა, ხოლო სამმა თავისი ქონების გაზრდაც კი მოახერხა. 16 პროცენტით ანუ დაახლოებით 52 მილიონი ფუნტით გამდიდრდნენ Oasis-ის მუსიკოსები ძმები ლიამი და ნოელ გალაჰერები, რომლებმაც ცოცხალი ხმის ნიშნისგან თავი გადარჩა და მიუზიკლისა და



ვიანტი მეშვიდე სტუდიური ალბომი - Dig Out Your Soul. გარდა ამისა, 29 პროცენტით გაიზარდა მიუზიკლისა და

ფილმის Mamma mia!-ს ("მამა მია!") პროდიუსერის ჯუდი კრაიმერისა (Judy Craymer) და ხმისჩამწერი ლეიბლის Syco-ს მფლობელის საიმონ კოუელის (Simon Cowell) კაპიტალი.

The Times-ის მიერ გამოქვეყნებულ ყველაზე მდიდარი მუსიკოსების ათეულის სათავეში კვლავინდებურად ლეიბლ Zomba Records-ის შემქმნელი კლაივ კალდერი (Clive Calder) აღმოჩნდა. ამ ხმისჩამწერ სტუდიაში თავისი კარიერა ბრიტნი სპირსმა დაიწყო. მეორე-მესამე ადგილებზე კომპოზიტორმა ენდრიუ ლოიდ ვებერმა და პოლ მაკარტნიმ გაინანაღეს. მეოთხე ადგილზე გავიდა სერ კამერონ მაკინტოში - 350 მილიონი ფუნტით, მეხუთეზე საიმონ ფულერი - 300 მილიონი ფუნტით, მეექვსეზე სერ მიკ ჯაგერი - 190 მილიონი ფუნტით, ხოლო სერ ელტონ ჯონი, თავისი 175 მილიონიანი შემოსავლით, წელს მხოლოდ მერვე ადგილს დასჯერდა.

### ქართულ ენაზე ცნობილი ადამიანებისა და პოლიტიკოსების ბიოგრაფიული პროზა-მემუარების 25 ტომეულის გამოცემა დაიწყო

"საქართველოს" საგამომცემლო სამსახურმა, ცნობილი ადამიანებისა და პოლიტიკოსების ბიოგრაფიული პროზა-მემუარების 25 ტომეულის ქართულ ენაზე გამოცემა დაიწყო.

უკვე გამოვიდა პირველი და მეორე ტომი. ნიგნები შესრულებულია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე. აღნიშნული ტომეული რეალიზაციის საცალო გაყიდვაში არ მოხდება, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ხელმოწერა.

25 ტომეულის გამოწერა შესაძლებელია "თბილისი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, "ტაოპრეზენტაციონში" და "ბანკ რესპუბლიკაში". **ჯი-ეიჩ-ენი**

### ზურაბ სოტკილაძე აგვისტოს ომის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად კონცერტს გამართავს

რუსული მედიის ინფორმაციით, ცნობილი მომღერალი, წარმოშობით სოხუმელი ზურაბ სოტკილაძე აგვისტოს ომის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად კონცერტს გამართავს.

"კონცერტი 30 აპრილს მოსკოვის კონსერვატორიაში გაიმართება. ზურაბ სოტკილაძე ამ კონცერტს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ყველა დაღუპულის ხსოვნას მიუძღვნის", - აცხადებს კონცერტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რუსეთის ქართველთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია და დასძინს, რომ ზურაბ სოტკილაძე მსხვერპლს ეთნიკური ნიშნით არ განასხვავებს და კონცერტს აგვისტოს მოვლენების დროს ყველა დაღუპულს მიუძღვნის.

"კონცერტში ასევე მიიღებს მონაწილეობას ხიბლა გერმანია, რუსეთის სახალხო არტისტი ვლადიმერ რედკინი, შესრულებული იქნება არიები, დუეტები, ქართული რუსული და იტალიური სიმღერები", - აცხადებს ხუბუტია.

აღსანიშნავია, რომ ხიბლა გერმანია წარმოშობით აფხაზი მომღერალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პეტერბურგში ბრიტნი სპირსის კონცერტისთვის მოედანი ჭერაც ვერ შეურჩევიათ

ამერიკელი მომღერალი ბრიტნი სპირსი 19 ივლისს პეტერბურგში გამართავს კონცერტს. რუსეთში გამოსვლა მომღერლის ტურნეს "The Circus Starring" ფარგლებშია დაგეგმილი.

ბრიტნი სპირსი რუსი თავყვანისმცემლის ნინაში წარსდგება შოუთი, რომელსაც კრიტიკოსებმა და მაყურებლებმა უნიკალური უწოდეს.

ტურნეს სახელწოდების გასამართლებლად, მომღერალმა გადაწყვიტა კონცერტზე საცირკო ატმოსფერო შეექმნა. სცენა იქნება მრგვალი, მაყურებელი კი ყველა მხარეს იქნება განლაგებული. შოუ პროგრამა მრავალი სპეცეფექტებისაგან და მოძრავი დეკორაციებისაგან შედგება. მასში ცირკის მსახიობებზე მონაწილეობენ. კონცერტის ორგანიზატორების განცხადებით, შოუ პროგრამა იმდენად რთულია, რომ ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, პეტერბურგში რომელი საკონცერტო მოედანი დაიტევს მთელ ამ მონაწილეობებს. ნინასნარი ინფორმაციით, ბრიტნი სპირსის კონცერტის ჩასატარებელ ადგილად ყინულის მოედანი და ე.წ. "ესკაკა" განიხილება. **მედიანიუსი**

### თბილისში გერმანელი პროფესიონალის ხმის მასტერკლასი ჩატარდება

27 აპრილიდან 1 მაისამდე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კინოსტუდია "ქართული ფილმი" და გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში ჩატარებენ კრისტოფ ენგელკეს ხმის მასტერკლასს მომავალი კინემატოგრაფისტებისათვის. 5 დღის განმავლობაში, მასტერკლასის მონაწილეები ესტუმრებიან კინოსტუდია "ქართული ფილმს", მონაწილეობენ კინოსტუდიის ბაზას. ასევე, კინოსტუდია "ქართული ფილმში" ჩატარდება პრაქტიკული მასტერკლასი, ბაზისები, სტუდიო-A, მასტერკლასის მონაწილეებმა უნდა იქონიონ თავიანთი ნამუშევრებიდან ნაწყვეტები Quick Time-ში, აუდიო - Pro tool-ში. ასევე, შედგება შეხვედრა და გასაუბრება მასტერკლასის მონაწილეებთან გოეთეს ინსტიტუტში და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. **მედიანიუსი**

### "ჰეფენინგები"

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობოთა თეატრი წარმოადგენს პროექტს "ჰეფენინგები". ამ პროექტის ფარგლებში 28 აპრილს, 18.00სთ-ზე პოეტ გიორგი კეკელიძის (პოეტური კრებული "ოდეები"), მწერალ ზვიად კვარაცხელიას (პროზაული კრებული "ჭაე"), მთარგმნელ ოქტაია ჯაჭუჭიას (თარგმანების კრებული "აზერბაიჯანული პოეზია ქართულად, ქართული პოეზია აზერბაიჯანულად), მწერალ ნინო სადლობელაშვილის (პოეტური კრებული "შუალამის იავანანა", პროზაული კრებული "ბამბაზის სამოთხე", პიესა ბამბაზის სამოთხე დაიდა ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რეჟ. გიორგი სიხარულიძე), პოეტ დიანა ანფიმიაძის (პოეტური კრებული "შოკლადი"), მთარგმნელ ანი კოპალიანის (მისი თარგმანები შეტანილია ვახუშტი კოტეტიშვილის "მხატვრული თარგმანის მასტერკლასში") ლიტერატურულ საღამოს.

## მერილ სტრიპი ჭილდოს მიიღებს

ცნობილი პოლიეუდის მსახიობი მერილ სტრიპი რომის კინოფესტივალის სპეციალურ ჯილდოს მიიღებს. ფესტივალის ორგანიზატორები სტრიპს, კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და პირადი მიღწევებისთვის მარკ ავრელიას პრემიით დააჯილდოებენ.

კინოფესტივალი 15-დან 23 ოქტომბრამდე გაიმართება და ერთ-ერთ საზეიმო ცერემონიაზე მსახიობი სცენიდან თავისი კარიერის შესახებ ისაუბრებს და დარბაზში დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხებს. ეს ჯილდო მინიჭებული აქვთ შონ კონერსა და ალ პაჩინოს. რომის კინოფორუმის ხელმძღვან-

ნელობამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და ფესტივალის დაფინანსების შემცირების მიუხედავად, ღონისძიების სტატუსი და მის მიმართ ყურადღება მსოფლიოს მასშტაბის ვარსკვლავების და პრესის მხრიდან არ შემცირდება. 2009 წლის კინოფესტივალის ფიურის თავმჯდომარე კი ცნობილი კინორეჟისორი მილოშ ფორმანი იქნება.

შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში მერილ სტრიპი პრემია "ოსკარზე" იყო ნომინირებული და ფილმ "ეჭვიში" შესრულებული როლისთვის სხვა მრავალი პრესტიჟული კინემატოგრაფიული ჯილდო მიიღო. მიუ-



ზიკლ "მამა მია!"-ში მონაწილეობისთვის მსახიობი "ოქროს გლობუსზე" იყო წარდგენილი.

რომის ფესტივალი იტალიის დედაქალაქის ყოფილი მერმა ვალტერ ველტრონმა დააარსა. რომის ახალი მერი ჯანი ალემანი, რომელიც თავის თანამდებობაზე 2008 წლის აპრილში იქნა არჩეული, რომის კინოფესტივალის ორგანიზირებას ნაციონალურ ფილმებზე და პოლიეუდის ფილმებისგან მის განმეინდას აპირებს. წინა წელს გამართულ კინოფესტივალის კონკურსში ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაღებული მხოლოდ ერთი ფილმი იღებდა მონაწილეობას.

ისტორია

# "გრანდ ოტელის" საიდუმლო

ბალა ჩაპაროვილი

სახლებს, სიცოცხლის გარდა, სიკვდილების დამახსოვრებაც უწევს. ამაში გამონაკლისი არც სასტუმროები არიან. არავინ იცის მე-19 საუკუნის მიწურულს ვინ ააგო მაშინდელი ნიკოლოზის ხიდთან სასტუმრო "გრანდ ოტელი", უცნობია როგორც არქიტექტორი, ასევე მეპატრონის სახელი, მაგრამ 1901 წელს აქ დატრაილებული ტრაგედიის შესახებ დღემდე ლაპარაკობენ:

ახალგაზრდა ვაჟმა მძინარე ქალს რეკლავი ესროლა და ვიდრე თავს მოიკლავდა, სამი წერილი დაწერა, ერთში მოკლულის ქმარს მიმართავდა, მეორეში - ვაჟიშვილს, მესამე კი მასპინძლისადმი მობოდიშებას წარმოადგენდა. ამ ყველაფერს მოკლულის ნ წლის ვაჟი უყურებდა...

თბილისს არც უცხოელი სტუმრები უყვრდა და არც მკვლელობები, მაგრამ ამ შემთხვევამ ყველა ააფორიაქა - მოკლული ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ქალი იყო, რომელზეც ვეროპაში ლეგენდებს ჰყვებოდნენ. მას დაგნი იუელი ერქვა, პოლონელი მწერლის სტანისლავ პშიბიშევიცის მეუღლე იყო და თავის თანამდროვე მხატვართა და მწერალთა მუზა:

ედვარდ მუნკის, ავგუსტ სტრინდბერგის, კნუტ ჰამსუნის...

მკვლეელი კი, ჭიათურის მარგანეცის საბადოების მფლობელის ვაჟი, 25 წლის ვლადისლავ ემერიკი. ეს მან დაჰატირა დაგნი და მისი მეუღლე კავკასიაში სამოგზაუროდ, მაგრამ სტანისლავ პშიბიშევიცის, რომელმაც რამდენიმე წელი ადრე დაგნის სიყვარულის გამო ცოლ-შვილი მიატოვა, ახლა ერთდროულად ორი ქალით იყო გატაცებული და ბოლო მომენტში გადაიფიქრა კავკასიაში გამომგზავრება, დაჰპირდა, რომ მოგვინებდა შემოუერთდებოდათ.

პოლონელ მწერალს საბედისწეროდ დაავიანდა. და ახლა, თბილისური სასტუმროს ერთ ნომერში, რომელიც პატარა მდინარეს გადაჰყურებდა, იწვია ქალი, რომლის სახელი ევროპაში ხელოვნებასთან და ბოჰემურ ცხოვრებასთან ასოცირდებოდა. რომელიც იყო პიანისტი, პოეტი, სკანდინავიელი მხატვრების მოდელი, რომელსაც მწერალმა ავგუსტ სტრინდბერგმა და მისმა მეგობრებმა



დაგნი იუელი

ასპასია დაარქვეს, ბერძენი ბასილევსის მეუღლის სახელი, რომელსაც თავის სალონში ხელოვნების მოღვაწეები ჰყავდა შემოკრებილი. დაგნი იუელს ეტროფოდნენ და ისიც ხშირად ეხვეოდა სასიყვარულო თავგადასავლებში, რომლის დაწყებამდამთავრების თარიღები ლამის თვე და რიცხვით ჰქონდათ აღნუსხული მის თანამედროვე ჭოროკანებს.

“დაგნი” ნორვეგიულად ცისკრის ვარსკვლავს ნიშნავს და ქალი მართლაც რომ კაშკაშებდა.

მიუხედავად წერილებისა, ვერავინ გაიგო, რატომ მოკლა ახალგაზრდა ემერიკმა ეს საოცარი ქალი, რომელსაც ეტროფოდა. ზოგმა ეს ეჭვიანობას მიანერა, იყო ვერსიებიც, თითქოს მკვლელი ქმარმა შეუყვითა. ფსოქოლოგები ცდილობდნენ ეს საქციელი "ჰეროსტრატის კომპლექსით" აეხსნათ... ვლადისლავ ემერიკი პშიბიშევიცის მისამართით დატოვებულ წერილში წერს: "მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გავაკეთებინა..." რაც ცოტა უცნაურად ჟღერდა როგორც გამოძიებისთვის, ასევე ახლობლებისთვის. ასევე უცნაური იყო სიტყვები: "ვკლავ იმ მომენტში, როცა

ამას ყველაზე ნაკლებად მოეწონა".

ხოლო პატარა ზენონს კი დედის შესახებ ეუბნება: "ის, პირველი დედოფალი... შენს წინაშე იყო მოთვინიერებული და მიაჩნდა, რომ შენ იყავი მთელი მისი ცხოვრების გამართლება", "უცნაურ აზრებს, რომლებსაც მასზე გაიგებ, ალბათ ნაკლებად უნდა ერწმუნო... ის იყო წმინდანი, თან დედოფლური სიკეთით სასვე".

ასეთ ქალებს მაშინ უფრო აფასებენ, როცა კარგავენ. სტანისლავ პშიბიშევიცმა დაგნის სიკვდილის შემდეგ უძღვნა წერილი სათაურით "როცა მზე ჩადის", სადაც სამართლიანად ასკვნის: "მისი ტრაგედია სილამაზე, სიამაყე და გულწრფელობა აღმოჩნდა. ის იყო ულამაზესი ყვავილი, რომელიც იშვიათად იფურჩქნება, მაგრამ განწირულია გასათელად." 1902 წელს კი, დაგნის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, მან გამოაქვეყნა დრამა "ოქროს საწმისი", სადაც ერთმანეთში გადახლართულია ყველა ის გრძნობა, რაც დაგნისა და მის ურთიერთობას ახასიათებდა: სიყვარული, ეჭვიანობა, ღალატი, შილის მამობის სათუბა, მიტყუება, მოვალეობის გრძნობა ოჯა-

ხისა და ბავშვების წინაშე და ამ დრამის გმირი, ემერიკისგან განსხვავებით, მხოლოდ თავს იკლავდა.

სამი დიდხელის მქონე, სტრინდბერგი და პშიბიშევიცი ერთი ცეცხლით ინვოდა და ეს ცეცხლი იყო დაგნი.

სამივემ შექმნა ნაწარმოები, რომელშიც სიტყვა "ცეკვა" სხვადასხვა კონტექსტში ფიგურირებს. პირველად მომჩინი მანინც მუნკია. მან 1899 წელს დახატა სურათი "ცხოვრების ცეკვა", მინიმუმით დაგნიზე. როგორც

სათაურიდან ჩანს, მუშაობის დასაწყისში დაგნი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ კი დახატა ცნობილი ტილო "მადონა", სადაც ნატურა აპკარად დაგნი გახლდათ. მერე სტრინდბერგმა, უკვე დაგნის სიკვდილის შემდეგ, 1901 წელს მას მიუძღვნა დრამა "სიკვდილის როკვა" და ბოლოს, 1902 წელს, პშიბიშევიცმა დრამების ციკლს დაარქვა "სიყვარულისა და სიკვდილის ცეკვა", სადაც "ოქროს საწმისიც" შევიდა. და ამ სამ ცეკვას სამი ხელოვანის შემოქმედებაში ერთი ქალის ცხოვრება, სიყვარული და სიკვდილი აერთიანებდა.

სასტუმრო "გრანდ ოტელი", ამ ნახევრად აზიურ ქალაქში ბაროკული ეკლექტიზმის სტილით რომ აეგებნებინათ და გრძობი ფასადით ხიდის ქუჩას მიუყვებოდა, ხოლო მდინარის მხარეს თბილისური აივნებით იხსნებოდა, ევროპელი ქალის მკვლელობაზე დიდხანს მოსთქვამდა და ქოთქოთებდა.

მოკლულის ცხედარი მკვლელთან ერთად კუკის სასაფლაოზე გადაასვენეს და გამოძიების დამთავრებამდე დაკრძალეს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ჯერამაზესის დაგნის საფლავი უფრო კიდევ საქართველოშია, იქ სადაც ტავიდან დაიკრძალა.

"გრანდ ოტელმა" მისი სახელი სამუდამოდ დაიმანსოვრა: მემორიალური დაფა გვამცნობს, რომ "აქ 1901 წლის ივნისში ცხოვრობდა და ტრაგიკულად დაიღუპა დაგნი იუელი, ნორვეგიელი ხელოვანი."

მაგრამ რა არის ამ პატარა სასტუმროს მესხიერება იმ ვნებებთან შედარებით, რასაც ედვარდ მუნკის "მადონა" იწვევს, სადაც თვალებშილული, შიშველი დაგნი, როგორც უცხოელი ხელოვნებათმცოდნე აღნიშნავს - ორგანოსა თუ განაყოფიერების მომენტში, ქალური მშვენიერებით გვწახვას...

## ქართულ-ვაინახური კულტურის ისტორიული კავშირები

23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის ფიზიკის აუდიტორიაში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, სახელწოდებით - "ქართულ-ვაინახური კულტურის ისტორიული კავშირები".

საკონფერენციოდ შერჩეულმა თემამ ბევრი დააინტერესა. აუდიტორია სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლებმა შეავსეს. ქართულ-ვაინახური კულტურის ისტორიულ კავშირებზე საუბრის პარალელურად, აქვე გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია.

აღნიშნული კონფერენციის მომზადებას არაერთი რგოლი ხელმძღვანელობდა. ორგანიზატორები იყვნენ: "კავკასიის ფონდი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის "კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია", საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი და "ასირიოლოგთა, ბიბლიესტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება".

მოცემულ თემასთან დაკავშირებით, გამომსვლელებმა დიდხანს ისაუბრეს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: გია ხუბუა (თსუ-ის რექტორი), გივი ღამბაშიძე ("კავკასიის ფონდის" პრეზიდენტი), იულენ გაგოშიძე (დასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე), თეიმურაზ იაკობაშვილი (რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი), საქართველოს პარლამენტის წევრები: ნუგზარ ნიკლაური და პაპუნა დავითაია; მონაწილე სტუმრები იყვნენ: მხატვარი და მწერალი - ალა დუდავა, ინგუში მწერალი - ისა ქაძივე.

ახალ წიგნებს რაც შეეხება, გუშინ მკითხველმა პირველად გადაფურცლა მერაბ ჩუხუაძის "იბერიული-იჩქერიული ენათა შედარებითი გრამატიკა", ისა ქაძივეის "უფსკერულზე" და "ღალაძე, ნანა ნოზაძის "ხურიტული ენის ლექსიკონი".

## ტომ მორელომ ახალი ალბომი ჩაწერა

Rage Against The Machine-ის გიტარისტის ტომ მორელის ახალი ვაკეუფი - Street Sweeper Social Club, გამოსაცემად თავის სადებიუტო ალბომს ამზადებს. Pitchfork-ის ინფორმაციით, დისკო, სახელწოდებით Street Sweeper Social Club 16 ივნისს გამოვა. მორელის გარდა კოლექტივის შემადგენლობაში შედიან კალიფორნიის მობ-პოპ ჯგუფ The Coup-ის ვოკალისტი ბუტს რაილი და ჯგუფ Galactic-ის დრამერი სტენტონ მური. სულ თავიდან ჯგუფი მხოლოდ მორელისა და რაილისგან შედგებოდა და Street Sweeper ერქვა. დისკო Street Sweeper Social Club შესული იქნება 11 სიმღერა, რომელთაგანაც სამის: Fight! Smash! Win!, Clap for the Killers და The Oath-ის მოსმენა ინტერნეტის საშუალებითაც არის შესაძლებელი. ორი უკანასკნელი სიმღერა ხელმისაწვდომია ასევე უფასო მინი-ალბომში - NIN/JA 2009 Tour Sampler, რომელიც არდლოუთი ამერიკაში Street Sweeper Social Club-ს, Nine Inch Nails-სა და Jane's Addiction-ის ერთობლივი გასტროლების დროს დაინერა.

## ზუგდიდის კულტურული სიახლეები

1-2 მაისს ზუგდიდში სამი წიგნის პრეზენტაცია იგეგმება. ჯერ მოეწყობა შეხვედრა როსტომ ჩხეიძისთან, რომელიც მკითხველს ბიოგრაფიულ რომანს - "ბურჯი ეროვნებისა" წარუდგენს. ნაწარმოებში იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა ასახულია. ასევე, წარმოჩენილია "დედა ენის" ავტორის პიროვნება. მისი შემოქმედება გამოწვევა იყო იმპერიისთვის, რომელიც მან სკოლების გაქართულებით, აღზრდის ახალი სისტემის ჩამოყალიბებითა და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებით სასწაულებრივად დაამარცხა. ის რუსიფიკატორულ პოლიტიკას მთელი შეგნებით დაუპირისპირდა. წიგნის დახმარებით, მკითხველს საშუალება ეძლევა იაკობ გოგებაშვილის, როგორც ლიტერატორის და საზოგადო მოღვაწის, მნიშვნელობასა და დამსახურებაზე შეიტყოს. აღნიშნული შეხვედრა IV საჯარო სკოლაში გაიმართება.

იმავე დღეს, 18:00 საათზე, არტ-გალერეაში შედგება ელგუჯა თავბერიძის პიკარესკული რომანის - "აირევი ივრია" განხილვა. წიგნი სოლომონ აშორიას ცხოვრებას ეხება, მის შემდეგლებებს გადაცნობს. დიდი ხნის წინათ, თაღლითისა და ავანტიურისტის, სოლომონ აშორიას სახელი ყველას პირზე ეკერა - სამეგრელოსა და იმერეთში ორი ათასამდე კაცი სწორედ მისი წყალობით გათავადდა, გააზნურდა. მათ "აშორიას აზნაურებს" უწოდებდნენ. რომანში მთელი ეპოქა დახატულია. ავტორი "ნიჭიერი თაღლითის" თავგადასავალს დოკუმენტებზე, მემუარებსა და სასამართლო საქმეებზე დაყრდნობით გვიყვება. მკითხველი იქ, "აშორიულითა" გვერდით, ცნობილ სახელეებსაც აღმოაჩენს. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე ირონიით მოიხსენიებს მას, ხოლო ცისფერყანწლთა საქმე - რომანტიული აღტაცებით.

2 მაისს კი, ნიკო დადიანისეული სასახლის დარბაზში, ახალგაზრდა კლუბ "სამანის" ინიციატივით, მოეწყობა ახალგაზრდა პროზაიკოსის, ზვიად კვარაცხელიას მოთხრობების კრებული - "ჰაე" - პრეზენტაცია. ეს წიგნი "ინტელექტის" გამოცემულია. ამის შესახებ ვახუშტი "24 საათის" 8 აპრილის ნომერში ვწვდით. ამ გამოცემას თან ლევან ბრეგაძის წინასიტყვაობა და ოთარ ჭილაძის შეფასება ახლავს. და რაც მთავარია, "ჰაე" საშუალებას გვაძლევს გავიცნოთ ავტორი, რომელსაც პროზაიკოსის დაკვირვებული თვალი აქვს, განსაკუთრებით ეფიგრვასება დოკუმენტური-პროზა, თუმცა სათქმელისა და განწყობის გამოცემას ის ოსტატურად ახერხებს ნოველებსა და მოთხრობებში.

# სოფო ტაბატაძე და "არქიდრომი"

## აზრებუების მუზეუმში

არტგაერთიანება "არქიდრომი" დღეს, 18 საათზე აბრეშუმის მუზეუმში (ცაბაძის 6, მუშტაილის ბაღის შესასვლელის პირდაპირ) მხატვარ სოფო ტაბატაძის ახალი ნამუშევრების პრეზენტაციას გამართავს. "არქიდრომი" წარმოადგენს პროფესიონალ ხელოვანთა და ხელოვნების მკვლევართა ჯგუფს, რომლის მთავარი საქმიანობაა თანამედროვე ქართულ ხელოვნება შესახებ არსებული ინფორმაციის დაგროვება, ხელოვნებაში მიმდინარე

მოვლენების დოკუმენტირება და პრეზენტაცია. ჯგუფი მუშაობს თანამედროვე ქართული ხელოვნების ფიზიკური არქივის მონაცემთა ბაზის შექმნაზე და პარალელურად ცდილობს ქართულ საზოგადოებას გააცნოს ხელოვნების მათი პორტფოლიოს წარდგენით. პრეზენტაციების დანიშნულებაა ქართულ საზოგადოებაში შექმნას დისკუსია თანამედროვე ხელოვნებაზე და ჩამოაყალიბოს სივრცე კრიტიკული აზროვნებისათვის. მორიგ პრეზენტაციაზე, (დასწრე-

ბა თავისუფალია), აუდიტორია სოფო ტაბატაძეს შეხვდება.

სოფო ტაბატაძის დაკვირვებების თემაა სწრაფი ურბანული ცვლილებები და თუ როგორ აისახება ეს ადამიანებზე. ტაბატაძე წარმოადგენს ადამიანის პორტრეტს, მისი გარემოს ჩვენებით. 2007 წელს სოფო ტაბატაძემ საქართველო წარმოადგინა ვენეციის ბიენალეზე, ამავე წელს მან მონაწილეობა მიიღო სტამბოლის ბიენალეზე. ამჟამად იგი ბერლინსა და თბილისში ცხოვ-

რობს და მოღვაწეობს. პრეზენტაციებზე ნაწვენები იქნება ბოლო ორი წლის ნამუშევრები: ნამუშევარი რომელიც ვენეციის ბიენალისთვის გაკეთდა და ასევე ღია ბარათების სერია: "ავყავებული დემოკრატიის ქვეყანაში პლასტმასის ყვავილებიც კი აყვავდებიან". ტაბატაძე ასევე ისაუბრებს ბერლინის და თბილისის სახელოვნებო სივრცეების თავისებურებებზე და თუ როგორ აერთიანებს ის მათ თავის ნამუშევარში და ცხოვრებაში.

# სპორტი

## Top 14-ში ბასავარდნებს ითვლიან

საფრანგეთის ელიტურ დივიზიონ Top 14-ის 24-ე ტურში გამართულ ქართულ დერბოში ბრიველმა დავით ხინჩაბიძეში გოდერძი შველიძის "მონტობანს" პირველივე წუთებში ლელო დაუდო, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შვიდმატრიანი წაუგებელი სერიის შემდეგ ხინჩაბიძე და კომპანია ზედიზედ მესამე მატჩში დამარცხდა და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირ "ჰეინეკენის თასზე" გასვლა სათუო გახდა.

"ბრივი" "ჰეინეკენის თასზე" გამსვლელ "ბიარიცსა" და "ბიონის", შესაბამისად, ორი და ერთი ქულით ჩამორჩება და თუ დარჩენილ ორ ტურში იყოილა, შესაძლოა, პრესტიჟულ ევრო-ტურნირზე მაინც გააღწიოს.

გამარჯვება მამუკა გორგოძის "მონპელიემ", რომელმაც "ბრივის" ერთ-ერთ კონკურენტ "ბიონს" 20:11 სძლია. "მონტობანის" მსგავსად, "მონპელიეს" სატურნირო მოტივაცია პრაქტიკულად დაკარგული აქვს.

მოედანს დაუბრუნდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დავით ზირაქაშვილი. თებერვლის დასაწყისში გერმანი-



დაქსელებმა "მონ დე მარსანი" ირაკლი გორგოძის გარეშე შეაკავეს

ის ნაკრებთან გამართულ მატჩში დაშვებულმა მუხლის ტრავმა მოიშუშა და "პერპინიანის" წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში მეორე ტაიმი სრულად ითამაშა.

იმის გამო, რომ კლერმონელეები 73 ქულით მეოთხე ადგილს იკავებენ და რეგულარული პირველობის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კონკურენტებს მისი დანების შანსი არა აქვთ, კიდევ ის, რომ "კლერმონი" საჩემპიონო პლეი-

ოფში აუცილებლად ითამაშებს, მათთვის "პერპინიანთან" შეხვედრა ერთგვარად გაუფერულდა.

საფრანგეთის სახელით მითამაშე დიმიტრი იაშვილის "ბიარიცმა" დუდუ ქუბრიაშვილისა და გია ლაბაძის "ტულონს" 19:12 სძლია. "ბიარიცი" მომავალ სეზონზე "ჰეინეკენის თასზე" მონაწილეობისთვის იბრძვის, "ტულონის" მიზანი კი საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა.

ზედიზედ მეორე, სეზონში კი მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა ირაკლი გორგოძის "დაქსმა". თანაგუნდელების წარმატებაში ქართველს საკუთარი წვლილი არ შეუტანია. გამარჯვებით კი უტსაიდერ "მონ დე მარსანზე" გაიმარჯვეს, რომლის Pro D2-ში დაქვეითებაც გადაწყვეტილი ამბავია. "დაქსის" ელიტურ დივიზიონში დარჩენა კი უამრავ ფაქტორზე დამოკიდებული.

აქვსენტი გორგოძის "კასტრი" საკუთარ მოედანზე რეგულარული პირველობის ერთ-ერთ ლიდერ "სტად ფრანსესთან" 16:21 დამარცხდა და შვიდ ქულაზე ნაკლები სხვაობით მარცხისათვის ზედიზედ მეორე თამაშში პრემიალური ქულა ჩაინერა. თუ კასტრელებმა ბოლო ორი თამაშიდან ერთი მაინც მოიგეს, გაისად ელიტურ დივიზიონში ადგილი გარანტირებული ექნებათ. დარჩენილი თამაშებიდან ერთი "კასტრს" ჯერ მდევარ "ბურგონთან" აქვს სტუმრად გასამართი, მეორე კი საკუთარ მოედანზე რეგულარული პირველობის ლიდერ "პერპინიანს" უმასპინძლებს.

ტურის კიდევ ერთ მატჩში გათამაშების ლიდერმა "ტულუზამ" გასაგარდნი ზონის სიახლოვეს მყოფ "ბურგონს" 13:6 სძლია.



## დავით კოჭირიძის სკანდი

## ისევ სამი ერთობა

შარშანდელი ამბავი გამეორდა - ჩემპიონთა ლიგის ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი ინგლისიდანაა და ერთი კატალონიდან. არის განსხვავებულები: იმ სამში "ლივერპულს" ნაცვლად "არსენალი" მოხვდა, ხოლო "ბარსელონა" ის გუნდი აღარაა, შარშან რომ იყო. დღეს და ხვალ პირველი მატჩები და კარგი იქნება გავანალიზოთ, თუ ვინ როგორ ხვდება მთავარი საკლუბო ტურნირის ფინისისწინა ეტაპს.

"ბარსელონა" პირადად მე ასეთი ლამაზი და ერთიანი გონებით მოზაროვე გუნდი ჯერ არ მინახავს. კი, იყვნენ დიდი კლუბები არნახული სიმძლავრეებით, მაგალითად, ოცი წლის წინანდელი "მილანი", მაგრამ ასეთი მბრწყინავი, ელასტიკური, მოულოდნელი, მსუბუქი და ცუნამივით გუნდი არ მახსოვს.

გასული სეზონის მინურულს "ბარსელონა" "მალაგას" ჰგავდა. აქ თამაშობდნენ დიდი ვარსკვლავები, აქ მუშაობდა ხარისხიანი მწვრთნელი, მაგრამ ეს იყო "მალაგა" და სხვა არაფერი. კლუბის ხელმძღვანელობამ და სავარაუდოდ იოჰან კრუიფმაც სწორად გადაწყვიტეს და ცოტა გარისკეს კიდევ - გაუშვეს რაიკარდი და დანიშნეს სრულად გამოუცდელი გვარდიოლა, კატალონიელთა ყოფილი სიამაყე. გუნდიდან წავიდა ორი სუპერვარსკვლავი - რონალდინიო და დეკუ.

ამ ტრანსფორმაციებს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა და პირველ ტურში მარცხის შემდეგ საჯარო კრიტიკამ იხუვლა, თუმცა მალე "ბარსა" ისე ათამაშდა, როგორც ალბათ არასდროს არავინ. მსოფლმხედველობა ტრადიციულია - ბურთის დაჭრა, გაგორება, მონაწილეების გაბრუნება და განადგურება. კატალონიელებმა სეზონის მატჩების ნახევარზე მეტს პირველ თხუთმეტ წუთში მოიგეს, მალე პრიმერადივიზიონში ასზე მეტი გოლი დაუგროვებდათ, ჩემპიონთა ლიგაზე მსუბუქ-მსუბუქად გადაუარეს ყველას და ახლა ყველაზე ციცაბო ალმართის წინ აღმოჩნდნენ - წინააღმდეგობის თასის ფინალი, პრიმერადივიზიონის უმძიმესი ფინიში ზურგზე ანებებული "რელით" და ლიგის გადამწყვეტი ომები. ეყოფა გვარდიოლას გუნდს ენერჯია, კლასი და ნერვეტი? ენერჯია უნდა ეყოს, რადგან როტაცია მუდმივად მიმდინარეობდა, კლასი იმდენი აქვთ, ბარე ორს ასესხებენ უპროცენტოდ, ნერვეტი კი... რთული ამბავია, წინასწარ ვერ იტყვი.

"ჩელსი" ლიგის ბოლო ფინალში მონაწილეობის შემდეგ აქ მეორედ შეიცვალა მწვრთნელი და ამან გაამართლა - რომან არამოვიჩის მეგობარმა გუს ჰიდინკმა თავის დროზე კორეკლები, ავსტრალიელები, რუსები აათამაშა და ამდენ უარსკვლავს ვერ დააყენებდა სწორ გზაზე?

ის ნამდვილი შამანია. რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებად მეპარება ეჭვი ამაში. თუმცა ამ კაცის წარმატებები მხოლოდ ზეპუნერზე ნიჭზე არ არის დამოკიდებული. ჰიდინკი ძალიან მშრომელი და ჭკვიანი სტრატეგია. მისი მთავარი კოზირი აიკიდოს პრივილეგია აგებული - ზედმინვებით სწავლობს მონაწილეობს და მერე თითქოს მისსავე ენერჯიას იყენებს. ჰიდინკის "ჩელსი" ამის წყალობით აღარ აგებს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რას მოუფიქრებს ჰიდინკი "ბარსელონას", რომელსაც ლოგის ნიშანწყალიც არ ეტყობა და ტალანტების ემოციებზეა აწყობილი. მგინი ტაქტიკას უნდა შეეშვას და ერთადერთ გზას დაადგეს - გუნდის არანორმალურად აღგზნებას. ემოციას ემოცია თუ აჯობებს.

"მანჩესტერი" რაინდს შარშან ამ დროს უკეთესი გუნდი ჰყავდა. უფრო სწორად, გაცილებით სტაბილური და დალაგებული, თუმცა ამჟამად მანჩესტერულს სხვა ხიბლი გაუჩნდათ - სასნაულეების მოხდენა დაიწყო. დაახლოებით ისეთის, მადრიდის "რეალმა" რომ იცოდა შუა თხზმოციანებში. თუმცა როცა საჭიროა, ფერგიუსონი თავის გამოცდილებას ამუშავებს და გუნდს უაღრესად რაციონალურ ფეხბურთს ათამაშებს - გავიხსენოთ "დრაგაოზე" "პორტოსთან" მატჩი.

ამ სეზონის შემდეგ ალბათ ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყება. მიმდინარე სეზონი ბევრი ვეტერანისთვის ბოლო დიდი გამოფენა იქნება და ამიტომ დიდია შანსი, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ერთმა გუნდმა ზედიზედ მოიგოს ეს ტურნირი. ზღვა გამოცდილებიდან გამოდინარე, აქ ნერვეტის პრობლემა პორიზონტზეც არ ჩანს, მთავარი ენერჯია და კონცენტრაცია იქნება.

"არსენალი" როგორც ყოველთვის, ბავშვთა მინიფეხბურთის გუნდს ჰგავს, ოღონდ ბრწყინვალეს. ვენგერს მთელი წელი საკადრო პრობლემები ჰქონდა, თუმცა ახლა მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა და გუნდიც ათამაშდა. და როცა ეს გუნდი იმას თამაშობს, რასაც ეს მართლაც დიდი მწვრთნელი ასწავლის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეს ჩვენ ბევრჯერ გვინახავს და, ნესით, ამჯერადაც ვნახავთ. მთავარია მომენტები ისე არ ანიაგონ, როგორც მთვრალი მატჩარაკვეცა ქართველები ანიაგებენ ფულს.

მომავალ სამუშაოთაშორის

## ცქიტივილის ბუნდი საკლბოფორ ზონაში მკვიდრდება

საქართველოს ნაკრების კალათბურთელები აგრძელებენ თამაშს საკუთარ კლუბებში. ზაზა ფაჩულიას "ატლანტას" აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედიფინალური სერიის მეოთხე მატჩი მაიამში დღეს გამთენიისას უნდა გაემართა. "ქორებს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ ვითარებაში აღმოჩნდება.

სანამ ფაჩულია "ჰითთან" სათამაშოდ ემზადებოდა, სანიკიძე და ცინცაძე ბალტიის ლიგაში ბრინჯაოს მედლის მოგებას აღნიშნავდნენ. მარკოიშვილმა კი უკრაინის ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი ტური გაიმართა და ნიკა ცქიტივილის "ფუენლაბრადამ" პლეი-ოფში მოსახვედრად სერიოზული განაცხადი გააკეთა.

"ცქიტას" გუნდმა უმნიშვნელოვანეს მატჩში "ტაუ კერამიკას" 103:90 სძლია და პლეი-ოფის ზონაში შეაღწია.

პირველობის ლიდერთან მადრიდელებმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. ცქიტივილმა მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 14 წუთში 7 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა.

ამ გამარჯვების წყალობით, "ფუენლაბრადას" თანაბარი ბალანსი (15 მოგება, 15 მარცხი) გაუხდა და პლეი-ოფში გამსვ-



"ცქიტას" გუნდი პლეი-ოფს უმზინებს

ლელ მერვე ადგილზე გადაინაცვლა.

10 მოგებითა და 20 მარცხით მე-14 ადგილზეა ტაირონ ელისის "კახასოლი", რომელიც სტუმრად "ბარსელონასთან" 67:93 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამათამაშებელმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და 32 წუთში 9 ქულა, 6 პასი და 2 მოხსნა მოაგროვა.

წარმატებით თამაშობს ხორვატიის ჩემპიონატში ვლადიმერ ბოისა და მისი გუნდი. "ზადარმა" ჩემპიონატის მთავარ ფავორიტს "ზაგრებს" არაფერი დაუთმო და გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს პირველი მარცხი აგება - 76:70.

ქართველ კალათბურთელს მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა, მოედანზე საკმაოდ დრო - 27 წუთი გაატარა.

ბოისამ 8 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო. მან 6-დან 3 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი კი მიზანს ააცილა.

"ზადარის" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო დამირ რანჩიჩმა, რომელმაც 36 წუთში 26 ქულა მოაგროვა.

9 ტურის შემდეგ ხორვატიის ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს - "ზაგრებს", "ციბონას" და "ზადარს" 7-7 მოგება და თითო მარცხი აქვთ.

### ეტო ო "ბარსას" დატოვებას არ აპირებს

გასულ ზაფხულს ეტო ოს გარშემო დიდი აურზაური ატყდა. "ბარსელონაში" მოსულ პეპ გვარდიოლას თითქოს კამერუნელი არ სჭირებოდა და ფეხბურთელის გასაფრთხილებაზე აქტიურად საუბრობდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეტო ო კინალადა ყაზახურ "კურაგინში" გაუშვეს. თუმცა ბოლოს "ბარსაში" დარჩა და დაამტკიცა, რომ მისი გაშვება უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

მოახლოვდა სეზონის დასასრული და ეტო ოს ტრანსფერზე ისევ ალაპარაკდნენ. ფორვარდის გადაბირებას რამდენიმე ინგლისური კლუბი ლამობს, მათ შორის "ლივერპული" და "ჩელსი". თავად ეტო ოს კი გუნდის შეცვლა არ უნდა.

"ნება მომეცით, რალაც გკითხოთ. თუ თქვენ თამაშობთ "ბარსელონაში", რომელიც ასეთი ფეხბურთის აჩვენებს, კლუბის შეცვლა მოგინდებთ? ამ საკითხზე დაფიქრების შემთხვევაში, სათანადო პასუხს იოლად იპოვით. ყველაფერს რომ ნათელი მოვფინოთ, მინდა პირდაპირ გითხრათ: არსად წასვლას არ ვაპირებ, - განაცხადა კამერუნელმა ჟურნალისტებთან საუბარში და დაამატა, - ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო შეტევის ხაზი გვაქვს. უდიდესი პატივია ითამაშო ასეთი მაღალი კლასის გუნდში. მიმდინარე სეზონში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმცა, შეგახსენებთ, რომ პარტნიორთა ოსტატობის გარეშე ასეთ სიმალეებს ვერ მივაღწევთ".

კამერუნელმა რამდენიმე სიტყვით ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩზეც ისაუბრა. "გვჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვებთ. ამავე დროს კარგად გვესმის, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება. ინგლისური კლუბები ძლიერები არიან. მათ შეუძლიათ ცხოვრება საგრძობლად გავვირთულონ. ყოველი თამაშის წინ მეტოქეს პატივისცემით ვეპყრობით, მაგრამ ვიცით, რომ თუ კარგად ვითამაშებთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ".

### პეპემ სეზონი დაასრულა

მადრიდის "რეალის" პორტუგალიელ მცველს პეპეს "ხეტაფესთან" მატჩში ჩადენილი უხეშობისთვის ათმადრიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "სამიფო კლუბი" სეზონის მის გარეშე დაასრულებს.

"რეალის" მთავარი მწვრთნელი ხუანდე რამოსი თვლის, რომ პეპე ძალიან მკაცრად დაისაჯა. "მჯერა, რომ მან უზრალოდ თავზე კონტროლი დაკარგა. პეპე ვერ აცნობიერებდა, თუ რას აკეთებდა. მას არ უნდოდა ვინმესთვის ტკივილი მიეყენებინა. ჩვენს ფეხბურთელს ნამდვილად არ ვამართლებ. მან იცოდა, რომ ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მიიღებდა და ყველაფერს მშვიდად შეხვდა", - თქვა რამოსმა.

### შიდინკმა "ბარსელონასთან" უკვე ითამაშა

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა გუს შიდინკმა განაცხადა, რომ "ბარსელონასთან" გასამართლი მატჩი წარმოსახვაში უკვე რამდენჯერმე ითამაშა.

"აუცილებელია შორსმჭვრეტელობა. საკუთარ წარმოსახვაში მე უკვე ორჯერ გავმართე მატჩი "ბარსელონასთან". გავედი თუ არა ნახევარფინალში, სწორედ ამ მატჩზე დავინყე ფიქრი. ამ გუნდს უყვარს შეტევაში თამაში, თუმცა იგივე მოგვწონს ჩვენც. როდესაც ეთამაშებ "ლივერპულს" ან "მანჩესტერს", უფრო მეტი გაურკვევლობაა, რადგან თამაში შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს. "ბარსა" ჭკვიანი გუნდია. კატალონიელებს შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში გაზარდონ ტემპი ან პირიქით. თამაშისას შეიძლება იფიქრო, რომ ყველაფერს აკონტროლებ და ამ დროს "ბარსამ" გოლი გაგიტანოს. ეს გუნდი კარგად ფლობს ბურთს, რაც "ბარსას" მთავარი კოზირია", - აცხადებს შიდინკი.

### "რომა" არ გაიყიდება

"რომას" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ უარყო იტალიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია კლუბის შესაძლო გაყიდვის თაობაზე. საქმე ის არის, რომ კომპანია "იტალპეტროლი", რომელსაც ეკუთვნის "რომა" საკონტროლო პაკეტი, დიდ ფინანსურ პრობლემებს განიცდის.

"შეგვიძლია ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ "იტალპეტროლს" და კლუბის შესაძლო მყიდველს შორის არავითარი მოლაპარაკება არ გაიმართლა. "რომა" არ გაიყიდება", - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

# კობიაშვილმა "ბაიერნს" სარეზერვო კულუბი დააქარბინა

გასული უქმეები უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებისთვის წარმატებული გამოდგა. როდესაც ქართულ ლეგიონზე ვსაუბრობთ, ძირითადად დიდი ხუთეულის ქვეყნებს ვგულისხმობთ. მართალია, ამ ჩემპიონატებში ბევრი ქართველი არ არის, მაგრამ შაბათკვირას გამართულმა მატჩებმა მაინც სიხარული მოგვგვარა. ამის მთავარი მიზეზია გერმანული ბუნდესლიგა, რომელშიც ქართველთა გუნდებმა, ჩვენი ბიჭების დახმარებით, მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. საინტერესო იყო იტალიის ჩემპიონატის გასული ტურიც, სადაც ერთგვარი ქართული დებიო უნდა გამართულიყო, მაგრამ კალაძის ტრავმის გამო იტალიის ჩემპიონატში ერთდროულად ორი ქართველი მინდორზე ვერ გამოვიდა.

საუბარი დავინწყით გერმანიის ჩემპიონატით. ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას "შალკე" სტუმრად ეთამაშებოდა ჩემპიონობისთვის მებრძოლ მიუნხენის "ბაიერნს". კლინსმანის გუნდს სეზონის გადასარჩენად ქვეყნის ჩემპიონობა სჭირდება. "ალიანც არენაზე" გამართულ მატჩში "რეკორდმაისტერები", ცხადია, 3 ქულის აღებას გვგმავდნენ, თუმცა მატჩის 21-ე წუთზე კარგად გათამაშებული სტანდარტის წყალობით ალტინტოპმა "ბაიერნს" კარი დალაშქრა. ამ ერთადერთი გოლის წყალობით "შალკემ" თამაში მოიგო, "ბაიერნმა" კი შესაძლოა სწორედ ის სამი ქულა დაკარგა, რომელიც ჩემპიონის ტიტულს დააკარგინებს.

ლევან კობიაშვილმა მატჩი სრულად ჩაატარა. ქართველმა ფეხბურთელმა ერთხელ ზუსტად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. ასევე ერთხელ დაარტყა თამაშის წესი, ამდენჯერვე აართვა მეტოქეს ბურთი და გააკეთა 34 გადაცემა, რომელთაგან 24 ზუსტი გამოდგა. ეს მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა. აღსანიშნავია, რომ ქართველი ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. კობიაშვილი კარგად ერთვებოდა თანაგუნდელთა შეტევებში და დაცვაშიც საიმედოდ თამაშობდა.

ლევან ყენია გუნდის განაცხადში მოხვდა, მაგრამ თამაშის საშუალება არ მისცემია. გ ე ლ ზ ე კ ი რ ხ ე ლ თ ა მ წვერთნელმა ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის მოედანზე გაყვანა ვერ გარისკა.

მოგების მიუხედავად, "შალკემ" ვეროპის ლიგაზე გამსვლელ მეხუთე ადგილთან სკვობა მაინც ვერ შეამცირა და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ამდენივე ქულა აშორებს საწუკვარი ადგილის დაკავებას.

მოდლოდელი და სენსაციური გამარჯვება მოიპოვა გადაჩინებისთვის მებრძოლმა ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ". მან სტუმრად დაამარცხა ცხრილის შუაში მყოფი ლევანკუზუნის "ბაიერი" და ბოლო ათ მატჩში პირველად მოიპოვა სამი ქულა. შეხვედრის ბედი 72-ე წუთზე ლანგაკამპის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადამწყვიტა. ქართველი ფეხბურთელი გოლის გატანამდე ხუთი წუთით ადრე ჩაერთო თამაშში და დარჩენილი დროის განმავლობაში ერთხელ დაჯარიმდა,



კობიაშვილი, თანაგუნდელებთან ერთად, ალტინტოპის მიერ გატანილ გოლს აღნიშნავს

ამდენჯერვე აიძულა მეტოქე ნებსები დაერღვია, გააკეთა ცხრა გადაცემა, რომელთაგან ექვსი ზუსტი გამოდგა. 29 თამაშის შემდეგ "კარლსრუე" კვლავ ბოლო ადგილზეა, მაგრამ მე-15 ადგილთან მხოლოდ ორი ქულა აშორებს. იაშვილის გუნდის კონკურენტთაგან სამს თითო თამაში რეზერვში აქვს.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველები ამ ტურში მინდორზე არ გამოჩენილან. ლევან ციტინიშვილის გარეშე მოასპარეზე "ვენი ვისბადენი" სტუმრად "კაიზერსლაუტერნთან" 0:1 დამარცხდა და 21 ქულით ბოლო ადგილზე დარჩა.

მათე ლენიანითე "მიუნხენ 1860"-ის განაცხადში იყო, მაგრამ მინდორზე არ გამოჩენილა. ბავარიელები "ობერჰაუნენს" დაუზავდნენ (1:1) და 36 ქულით მე-10 საფეხურზე აღმოჩნდნენ. იტალიის სერია A-ს მორიგ ტურში კახა კალაძის "მილანი" ლევან მჭედლიძის "პელერნოს" მასპინძლობდა და 3:0 მოიგო. კალაძეს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, მჭედლიძე კი, ფაბრიციო მიკოლის ნაცვლად, 57-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

ამ გამარჯვებით "მილანმა" მეორე ადგილი განიმტკიცა და სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფ "ინტერს" 7 ქულით ჩამორჩება. რაც შეეხება "შალკერნოს", ის მეორე ადგილზეა.

ინგლისის ჩემპიონატის მორიგმა ტურმა ისევ ხიზანიშვილის გარეშე ჩაიარა. ჩვენებურის გუნდმა "უიგანს" პრინციპულ მატჩში 2:0 სძლია. "ბლექბერნი" 37 ქულით მე-15 ადგილამდე აღზევდა, ხიზანიშვილი კი სათანადო რიგითა სკამიდან არ წამოდგარა.

რუსეთის ჩემპიონატის განვლილი ტური კი ქართული გოლებითაც აღინიშნა. ქვეყნის ჩემპიონმა, ნურკი რევიშვილის, ლამა სალუქვაძისა და დავით კვიციანიას "რუზინმა" საკუთარ მოედანზე მოსკოვის "სპარტაკთან" მატჩი 0:2 დათმო და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ქართველი ფეხბურთელებიდან თამაშში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ კვიციანიამ. მან მოედანზე 90 წუთი დაჰყო, თუმცა თავი არაფრით გამოუჩინა.

ლევან ვაზაშვას "ტერეკი" მოსკოვურ "სატურნს" მასპინძლობდა და მართალია, ქართველი ფეხბურთელის მიერ გატა-

ნილი გოლის წყალობით იგებდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდა. ქართველმა ფეხბურთელმა მეტოქის საჯარიმოში მცველების შეცდომის წყალობით მიიღო ბურთი და ანგარიში გახსნა. ვაზაშვა მერვე აქტიურობდა, მაგრამ ამან მის გუნდს სამი ქულა მაინც ვერ მოუტანა. "ტერეკი" ექვს თამაშში მოპოვებული რვა ქულით ცხრილის მერვე ადგილზეა.

გოგითა გოგუსა და ალექსანდრე ამისულაშვილის ნალჩიკის "სპარტაკმა" პირველი გამარჯვება იხიმა. ნალჩიკელებმა პერმის "ამქარი" 4:1 დამარცხეს, გოგუამ კი ერთი გოლი გაიტანა.

გოგიტამ 74-ე წუთამდე ითამაშა და მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. გოლის გარდა, ის სტუმართა კარს კიდევ სამჯერ დაემუქრა და მიზნამდე ცოტა დააკლდა.

ამისულაშვილმა შეუცვლელად იასპარეზა, ქართველთა კლუბს კი 5 ქულა მოუგროვდა და მე-14 ადგილზე დამკვიდრდა.

ქრანსოდარში ადგილობრივ "ყუბანთან" მატჩი 0:1 დათმო მოსკოვის "ლოკომოტივმა". რკინიგზელებმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაუშვეს გოლი, მანამდე კი არბიტრმა გუნდებს თითო ფეხბურთელი გაუშვეა.

"ლოკოს" შემადგენლობაში დავით მუჯირი 22-ე წუთზე ტრავმირებული ბილიალტდინოვის ნაცვლად გამოჩნდა. მოსკოვური გუნდი კი 6 ქულით მე-12 ადგილამდე დაქვეითდა.

უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატში ქართველებს თავი არ გამოუჩინიათ. დენპროპეტროვსკში ალექსანდრე კობახიძის, ჯაბა კანკაჯასა და ბექა გოცირიძის "დნიპრო" და ლამა ჯაკობიას "არსენალი" დაუპირისპირდა.

უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატში ქართველებს თავი არ გამოუჩინიათ. დენპროპეტროვსკში ალექსანდრე კობახიძის, ჯაბა კანკაჯასა და ბექა გოცირიძის "დნიპრო" და ლამა ჯაკობიას "არსენალი" დაუპირისპირდა. ქართველი ფეხბურთელებიდან თამაშში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ კვიციანიამ. მან მოედანზე 90 წუთი დაჰყო, თუმცა თავი არაფრით გამოუჩინა. ლევან ვაზაშვას "ტერეკი" მოსკოვურ "სატურნს" მასპინძლობდა და მართალია, ქართველი ფეხბურთელის მიერ გატა-

ნის ამოცანა პრაქტიკულად გადაჭრილი აქვს. "დნიპრო" 38 ქულით მეხუთე ადგილზეა და, მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ისევ ინარჩუნებს ევროტურნირის ზონაში მოხვედრის შანსს, მაგრამ ევროპის ლიგაზე გამსვლელ ადგილს ხუთი ქულით ჩამორჩება.

ქართველი ფეხბურთელების გარეშე ჩაიარა დონეცკში "შახტარისა" და "ჩერნომორიის" მატჩმა. სტუმართა რიგებში ირაკლი მოდუბაძე განაცხადში ვერ მოხვდა. მისი გუნდი უკრაინის ჩემპიონთან მიინმალური ანგარიშით დამარცხდა, რის შედეგადაც კვლავ მე-13 ადგილზეა და მე-15 ადგილთან, საიდანაც გასავარდნი ზონა იწყება, ისევ ექვსი ქულა აშორებს.

გიორგი ციმაკურიძის "ზარია" ვასილ გიგაიძის "ტავრიას" ესტუმრა და 1:2 ნაავაო.

ციმაკურიძემ მე-19 წუთზე გამოჩნდა მინდორზე. ტაიმის მინურულს მისი ჩანოდების შემდეგ მასპინძელმა ჰაიდიჩუკმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

გიგაიძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარა.

"ზარია" 28 ქულით მეტერთმეტა, "ტავრიამ" კი 30 ქულით მე-9 პოზიციაზე გადაინაცვლა.

პოლტავაში "ვორსკლასთან" გასვლითი მატჩი 1:2 დათმო სანდრო გურულის "კარპატმა". ქართველი ფორვარდი 62-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ყვითელი ბარათი მიიღო. ლვოველები 30 ქულით მე-10 ადგილზე გამაგრდნენ.

ჩემპიონატის ლიდერია კიევის "დინამო", რომელმაც "ზარკოს" 1:0 მოუგო და 64 ქულა მოაგროვა.

მალხაზ ასათიანი კიეველთა განაცხადში არ ყოფილა.

ავსტრიის პირველობაზე 54 ქულით მე-3 ადგილზე გადაინაცვლა გრაციის "შტურმმა", რომელმაც ლინცის "ლასკს" 2:0 სძლია.

მასპინძელთა მასიურით ილია კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა, გიორგი შამიაშვილი კი სათადარიგო იყო.

ჩეხეთის ჩემპიონატში დიმიტრი ტატანაშვილის "ვიკტორია პლზენმა" პრატის "სოპოქინანსს" 3:1 მოუგო და 33 ქულით მე-9 პოზიციაზე აღზევდა.

ქართველი ფორვარდი 33-ე წუთზე შეცვალეს.

# ქართველბი რიბინბი ისევ დაქვიითდნენ

სუმოს ასოციაციამ გამოაქვეყნა მორიგი ბანტუკე (ოფიციალური რეიტინგი), რომელიც წინ უძღვის სეზონის მესამე კლასიკურ ტურნირს - ნაცუ ბაშოს.

ყველაზე პრესტიჟული აღმოსავლეთის იოკოძუნას ტიტული ერგო მარტის ბაშოს გამარჯვებულ ჰაკუჰოს, რომელსაც კარიერის განმავლობაში

23-ჯერ აქვს მოგებული იმპერატორის თასი. აპრილის ბანტუკეს გამოქვეყნების შემდეგ ასომორიუ დასავლეთის იოკოძუნას რანგში იასპარეზებს.

პირველად სუმოს ისტორიაში, პირველ ოთხ ადგილზე აღმორჩნდნენ არაიაპონელი სუმოისტები. ორ მონღოლს კუდში მისდევს პირველი ევროპელი ოძეკი კოტომი.

ციაზე კი აღმორჩნდა ორი იოკოძუნას თანამემამულე ჰარუმაფუძი.

ჩვენთვის, ცხადია, ყველაზე საინტერესოა ქართველთა მდგომარეობა. მარტის ბაშოზე წარუმატებლობის შემდეგ ორივე ქართველი სუმოისტი რეიტინგში დაქვეითდა. 21 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინომინი) ახლა დასავლეთის მე-

ცამეტე მაიგაშირას რანგშია, 28 წლის ლევან ცაგურია (კოკაი) კი აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაიგაშირას რანგს დასჯერდა.

მდგომარეობის გამოსწორებას ქართველები მისის ბაშოზე შეეცდებიან. მომავალ ტურნირზე კოკაის და ტოჩინომინს ერთმანეთის პირისპირ მოუწევთ ასპარეზობა.

აღმოსავლეთი		დასავლეთი
ჰაკუჰო	იოკოძუნა	ასაშორიუ
კოტომი	ოძეკი	ჰარუმაფუძი
კაიო	ოძეკი	კოტომიცუკი
ჩიოტაიკაი	ოძეკი	-
ბარუტო	სეკივაკე	გოუედო
კაკურუ	კომოსუბი	ტოჩინომინი
ჰომასო	პირველი მაიგაშირა	ამინასიკი
ტაკეკაზე	მე-2 მაიგაშირა	კუოკუტენო
ტამანოშიმა	მე-3 მაიგაშირა	ტოუნოშიმა
კისენოსატო	მე-4 მაიგაშირა	იოშიკაზე
კოტომოგიკუ	მე-6 მაიგაშირა	ჩიოჰაკუჰო
ივაკიამა	მე-8 მაიგაშირა	ტამავაში
ტოკიტენუკი	მე-9 მაიგაშირა	იმამოტოშიოტორი
მიბაბაიმა	მე-11 მაიგაშირა	ტოჩინომინი
ქაკამისაკირი	მე-12 მაიგაშირა	ჯემა
ჰოკუტორიკი	მე-13 მაიგაშირა	ტოჩინომინი
კოკაი	მე-14 მაიგაშირა	კაკიზოე
სეტენერო	მე-15 მაიგაშირა	ბუშუიამა
კიმურაიამა	მე-16 მაიგაშირა	-



ტოჩინომინი მეცამეტეა. კოკაი - მეთოთხმეტე

## ბატონი ჰენსონ ბატონი

“ზრაუნ GP” სასწაულებს ახდენს



ჯენსონ ბატონი, რომელიც 2009 წლამდე კარიერაში მხოლოდ ორჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, წლელს დიდ პრიზებს უკვე სამჯერ მოექცა სათავეში. სამეფო რბოლებმა კი ჯერ მხოლოდ ოთხ ეტაპს უმასპინძლა. ოთხიდან სამ ეტაპზე გამარჯვება და ერთში მესამე ადგილი სერიოზული განაცხადია ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე. თუ ადრე ბრიტანელები ჩემპიონის არყოლას განიცდიდნენ, შარშან ეს ვაკუუმი მაკლარენელმა ლუის ჰამილტონმა შეავსო. გამორიცხვით არ არის, ჩემპიონის გვირგვინი წლელსაც ბრიტანელს - ამჯერად ჯენსონ ბატონს დარჩეს.

### ბიგა ბარასაშვილი

წლევანდელი სეზონი ბევრი რამით უჩვეულოდ მიმდინარეობს. ნაკლებად პროგნოზირებადი იყო ჩემპიონატის დებიუტანტი გუნდის, “ჰონდას” ბაზაზე ჩამოყალიბებული “ზრაუნ GP”-ის მრბოლთა საჩემპიონო, ხოლო თავად საჯინბოს კონსტრუქტორთა ჩათვლაში დანიშნაურება. როდესაც ბატონის

წარმომავლობაზე ვსაუბრობთ, უნდა შევახსენოთ, რომ “ზრაუნ GP” ბრიტანული საჯინბოა. მისი წარმომადგენელი კი კვირას, ბაჰრეინის დიდ პრიზზე, საუკეთესო იყო.

ბატონის წარმატებები არაერთხელ აღინიშნა, მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს, ვინ უდგას სათავეში ჩემპიონატის მონინავე გუნდს. როს ბრაუნმა შექმნა ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი. ამიტომ, რომ

დღეს საქმის მცოდნენი ხშირად აღნიშნავენ მის განსწავლულობას, სტრატეგოსობას.

მიმდინარე ჩემპიონატში ქებას იმსახურებს “რედ ბულის” საჯინბოც. ფორმულა 1-ში მოსვლისთანავე ავსტრიულმა საჯინბომ დიდი გეგმები დაიასა მიზნად და უკვე შედეგები იმპის - ოთხი ეტაპი და სამი კვარცხლბეკი (ჩინეთის დიდ პრიზზე - დუბლი). აქედან საჰირის ტრასაზე მეორე შედეგი, რაც გუნდის ახალგაზრდა გერმანელის სეპასტიან ფეტელის დამსახურებაა. ავსტრიულ საჯინბოს კონსტრუქტორთა თასზე 27,5 ქულით მეორე ადგილი უკავია. “რედ ბულს” ამავე ჩათვლაში ერთი ქულით ჩამორჩება იაპონური მანქანათმშენებლობის გიგანტი “ტოიოტა”, რომლის იტალიელმა წარ-

მომადგენელმა იარნო ტრულიმ ბაჰრეინში მესამე ადგილი დაიკავა.

კრიზისის ფონზე, რომელსაც ახლა განიცდის ტიტულოვანი “ფერარი”, სკუდერიალთა ბოსმა სტეფანო დომენიკალიმ ბაჰრეინის დიდი პრიზისთვის კონკრეტული მიზანი დაიასა: “ფერარის” გასწვრივ გრაფიდან სამარცხვინო ნულის წაშლა. იტალიური საჯინბოს ბრწყინვალე ბიოგრაფიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირველი ოთხი დიდი პრიზი უქულოდ დაეკარგებინა. კიმი რაიკონენის თავგამოდება რომ არა, სკუდერიალთა გასწვრივ ისევე წულა ქულა იქნებოდა. მეექვსე ადგილით რაიკონენმა იტალიურ საჯინბოს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ქულები მოუტანა.

### ტილარდინო კმაყოფილია

მიმდინარე სეზონის დაწყების წინ “ფიორენტინას” ფორვარდმა ალბერტო ჯილარდინომ 20 გოლის გატანა დაიასა მიზნად. შაბათს, “ფიორენტინასა” და “რომას” მატჩში, ალბერტომ დუბლი შეასრულა და ახლა მიზნის მისაღწევად ორი გოლი აქვს გასატანი.

“არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იქნება გუნდისთვის ჩემს მიერ გატანილი 20 გოლი. ახლა მთავარია კლუბის მიერ დასახული მიზნები შესრულდეს და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენს გაგიტან. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ გუნდის ლიდერი ვარ. ამიტომ ახლავე მინდა განვატანო, რომ კლუბის შეცვლას არ ვაპირებ. “ფიორენტინაში” ყველაფრით კმაყოფილი ვარ”, - აცხადებს ჯილარდინო ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში. იტალიელი ფორვარდის გადაბირებას სწორედ ინგლისური კლუბები ლამობენ.

### აგერი “ლივერპულიდან” მიდის

“ლივერპულის” მცველმა დანიელ აგერმა უარი განაცხადა კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. მოქმედი კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს იწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ აგერი თავისუფალი აგენტი გახდება. მისი შექმნა რამდენიმე იტალიურ კლუბს სურს. თუ აგერმა მერსისადილებთან კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვავს, ის “იუვენტუსში” ან “მილანში” გადავა.

### ლიპი არ დაბრუნდება

ბოლო ხანს იტალიურ მედიაში აქტიურად საუბრობენ კლაუდიო რანიერის შესაძლო გადაყენებაზე. “იუვენტუსი” ამ სეზონს ტიტულის გარეშე ამთავრებს და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ კლუბიდან მთავარი მწვრთნელი გაუშვან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა “იუვენტუსში” დაბრუნდეს მარჩელო ლიპი, ოღონდ ეს 2010 წლის მუნდიალის შემდეგ მოხდება. თავად ლიპი ამ ინფორმაციას უარყოფს.

“ბლანს მართლაც შევხვდი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამჟამინდელი თაობაზე ვისაუბრეთ. ბლანის გარდა, მე ვისადილე ადრიანო გალიანისთან, კლაუდიო ლოტიტოსთან და სხვა იტალიური კლუბების ხელმძღვანელებთან, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს შევხვით. მინდა დაგარწმუნოთ, რომ “იუვენტუსში” არ დავბრუნდები. ახლა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული. ჩემი ოცნებაა, რომ ეროვნულ გუნდში მუნდიალის შემდეგაც დავრჩე. ცხადია, თუ კარლო აბეტე (იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) არ დამითხოვს,” - განაცხადა ლიპიმ.

### კონდოლიზა რაისი სპორტულ ჟურნალისტობას აპირებს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი სპორტულ ჟურნალისტობას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი “გარდიანი” ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის უწყების ხელმძღვანელის სპორტისადმი ინტერესის შესახებ დიდი ხანია ცნობილია.

“კონდოლიზა რაისი ტერორიზმის წინააღმდეგ ომში მონაწილეთა შორის “სპორტის ყველაზე ფანატიკური მოყვარულია”, - იუნყება გამოცემა.

### რონალდო აღარ ხუმრობს

ფეხბურთში დაბრუნებული რონალდო აღარ ხუმრობს. “ელ ფენომენო” ფორმაში შედის და შესაძლოა ასეთი თამაშით ბრაზილიის ნაკრებშიც დაიბრუნოს ადგილი. გასულ უქმეებზე ბრაზილიის სან პაულუს შტატის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ფინალურ მატჩში, რომელშიც “კორინთიანსმა” “სანტოსს” 3:1 სძლია, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა რონალდომ დუბლი შეასრულა.

32 წლის თავდამსხმელმა პირველად თავი გამოიჩინა 25-ე წუთზე, როდესაც მეტოქის მცველები ხელოვნური თამაშვარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ და რონალდომ ანგარიში 2:0 გახადა. 76-ე წუთზე, “კორინთიანსის” კონტრშეტევისას, “ფენომენმა” “სანტოსის” მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და კარიდან გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

მოედანზე დაბრუნებულმა რონალდომ “კორინთიანსში” უკვე 8 გოლი გაიტანა.



2009  
**elite**  
MODEL LOOK  
GEORGIA

**GET TO THE TOP**  
2009

**დაიპყარი მწვერვალ!  
გახდი მოდელი!**

საკრიზო ფონდი

**\$275 000**

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-იგინვეთ საერთაშორისო სამოდელო ჯონჯახს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა უვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ელენა შიფეი, სინდი ჯოუფსონი - მათ აიხრებს Elite Model Look-ი და გახდენ ცოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიჩვილი ნაბიჯი ცოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის ჯონჯახ-ქტი სააგენტო ელიტთან და **\$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა ჯოჯაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და ნახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო ჯიჯახს.

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნოზაძის №6 ყოველღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge



**თვალის მიკროქირურგიის  
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს**

კლინიკა

**"ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი"**

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქმედი საოპერაციო

ბლოკით

**SLT-ლაზერი**

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

**დავით ტატიშვილის  
სამედიცინო ცენტრის  
მანუალური თერაპიის  
და სამკურნალო  
მასაჟის სპეციალისტი  
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სკოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი  
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)  
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;



**1 მარტიდან**

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;






# ექსკავატორები, საბზაო და სამშენებლო ტექნიკა




**TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT**  
**JCB-ს ოფისიური დილერი საქართველოში**



**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მკ-12 კმ.**  
**☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)**

**ბარანტია:**  
 1 წელი, სამუშაო საათების შეზღუდვა

## სატენდერო მოწვევა

საქართველო  
 შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (დამატებითი დაფინანსება)  
 კრედიტის ნომერი 3938-GE  
 სატენდერო მოწვევის ნომერი: SLRP/CW/ICB-38

სარეაბილიტაციო სამუშაოები შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის

**ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი**  
 საავტომობილო გზის კმ1-კმ29 მონაკვეთზე

1. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პროექტის ხარჯების დასაფარავად და განზრახული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი საავტომობილო გზის კმ1-კმ29 მონაკვეთზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის ასანაზღაურებლად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე და კვალიფიცირებული პრეტენდენტებიდან, მოსამზადებელი და მიწის სამუშაოების, გზის საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების და გადაკვეთების, გზის კუთვნილების და მოწყობილობის აღდგენა-განახლების სამუშაოების შესასრულებლად. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაა **17 თვე**.

3. შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" და ღია ყველა პრეტენდენტისათვის, რომლებსაც სატენდერო დოკუმენტები განსაზღვრავს.

4. დაინტერესებულ, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსთან ბ-ნ შაქრო ხალვაშთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. კონტრაქტის მინიჭებისათვის კვალიფიცირების მიზნით, პრეტენდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

a. სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს **7,000,000 შვიდი მილიონი ლარი**;

b. სულ მცირე ერთი ობიექტის მშენებლობაში, როგორც მთავარი კონტრაქტორი ბოლო ხუთი წლის მანძილზე ექვივალენტური სამუშაოების ხასიათით და კომპლექსურობით, (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული სამუშაოების სულ მცირე 70% პროცენტი უნდა იქნას შესრულებული);

c. დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

რებით.

d. საავანსო გადასახადებისაგან თავისუფალი ლიკვიდური აქტივები და/ან საკრედიტო საშუალებები, სხვა სუფთა კონტრაქტული ვალდებულებები, რაც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას კონტრაქტის ფარგლებში - არა უმცირეს **600 000 ლარი** ან ექვივალენტი;

6. სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის შექმნა ინგლისურ ან ქართულ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არანაზღაურებადი **200 ლარის** ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

ბაზინის ერთიანი ანგარიში  
 სალარე ანგარიშის N 200 122 900  
 სავალუტე ანგარიშის N 001 189 362  
 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ბაზინა  
 ბანკის კოდი: N 220 101 222  
 საბიუჯეტო შემოსავლის საბაზინო კოდი: 302 007 800  
 გადასახადის დანიშნულება: **სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის (მიუთითეთ ობიექტის დასახელება)**

სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.

7. სატენდერო დოკუმენტები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2009 წლის 9 ივნისი დღის 1700 საათისა**. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადამწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას **2009 წლის 9 ივნისი დღის 1700 საათი**.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, **100.000 ლარის** ოდენობით ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 28 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას (60 დღე)

9. ზემოთ მითითებული მისამართი შემდეგია:

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (IV სართული) სამმართველოს უფროსი შაქრო ხალვაში ალ. ყაზბეგის გამზირი N12, 0160 თბილისი, საქართველო,**  
**ტელ: + (995 32) 37-05-08 შიდა 215**  
**ფაქსი: + (995 32) 31-30-34**  
**E-mail: info@georoad.ge**  
**ვებ გვერდი: www.georoad.ge**

დეპარტამენტის სატენდერო კომისია

“დამტკიცებულა”

სს “თბილისის საერთაშორისო აეროპორტი”ს დირექტორის ..... ბრძანებით ..... კ. ქაშუშაძე

ს.ს. “თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ აცხადებს აუქციონს მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის მიზნით 3 წლის ვადით:

Table with 2 columns: Description and Details. Includes fields like 'დასახელება', 'იჯარით გაცემის ფორმა', 'ქონების დახასიათება', 'საწყისი საიჯარო ქირა', 'ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი', 'გადახდის პირობები', 'აუქციონის ბიჯი', 'შეიჯარე', 'აუქციონის პირობები', 'გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები', 'შეიჯარისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია', 'შეიჯარის მისამართი, ტელეფონი', 'განცხადების მიღების ვადა', 'აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო', 'აუქციონის ჩატარების ადგილი'.

“დამტკიცებულა”

სს “თბილისის საერთაშორისო აეროპორტი”ს დირექტორის ..... ბრძანებით ..... კ. ქაშუშაძე

ს.ს. “თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ აცხადებს აუქციონს ბარგის შესამოწმებელ აპარატზე იჯარით გაცემის მიზნით: 2 წლის ვადით.

Table with 2 columns: Description and Details. Includes fields like 'დასახელება', 'იჯარით გაცემის ფორმა', 'ქონების დახასიათება', 'საწყისი საიჯარო ქირა', 'ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი', 'გადახდის პირობები', 'აუქციონის ბიჯი', 'შეიჯარე', 'აუქციონის პირობები', 'გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები', 'შეიჯარისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია', 'შეიჯარის მისამართი, ტელეფონი', 'განცხადების მიღების ვადა', 'აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო', 'აუქციონის ჩატარების ადგილი'.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 25 აპრილს გაზეთ "24 საათში" - სანიღვრე და საკანალიზაციო ქსების კომბინირებული საწმენდი მანქანის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 15 მაისის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერში გამარჯვებულად ცნობის თაობაზე

2009 წლის 21 მარტს სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სასტუმროს მომსახურების შესასყიდად (13 ლოტად) გამოცხადებულ ხელახალ ტენდერში სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად II ლოტში გამოავლინა ინდ.მენარმე "მადონა ზაქარაძე", რომელთანაც 2009 წლის 21 აპრილს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის სატენდერო კომისია



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას

გამოცდის ჩატარების უფლება ეძლევა საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეს 18-დან 65 წლის ასაკამდე.

მსურველებმა გთხოვთ წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

- 1. განცხადება გამოცდაზე დაშვების შესახებ, მითითებით ფლობს თუ არა სახელმწიფო ენას; (ივსება ადგილზე)
2. საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (ატესტატის ან დიპლომის ასლი);
3. ავტობიოგრაფია;
4. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ასლი;
5. ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით - 3X4.

საბუთების მიღება იწარმოებს 27 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით 10სთ-დან 18სთ-მდე (შაბათ - კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალექსიძის ქ. №1 ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობა. ტელ: 36 52 86

რეგონებში მაცხოვრებლებისათვის საბუთების მიღება იწარმოებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

"სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 8 აპრილის N1-1/741 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 24 აპრილის N1-1/871 ბრძანების საფუძველზე, 2009 წლის 9 აპრილის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N25 (ზუგდიდი, სოფ. ცაიშის ტერიტორია, დასავლეთ ცაიშის საბადოს თერმული წყლის (სათბურისათვის) მოპოვება) ობიექტზე განცხადებების მიღება შეწყდა.

23 აპრილს შპს ვარდნილშესების კასკადი -ს მიერ გამოცხადებულ აუქციონში გაიპარა შეცდომა, კერძოდ, ბიჯის ოდენობა უნდა იყოს:

ა) ყოველ 100 კილოგრამ სპილენძზე - 40 (ორმოცი) ლარი.

**ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს რაიონული სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი - არსებული სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 (ოთხი) ლოტად :

**სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები :**

ლოტი N1 - სენაკის სასამართლოს შენობის, მდებარე რუსთაველის ქ. N247, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სარეკონსტრუქციო ფართი 619 მ<sup>2</sup>;

ლოტი N2 - ასპინძის სასამართლოს შენობის, მდებარე ვარძის ქ. N117, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სარეკონსტრუქციო ფართი 505 მ<sup>2</sup>;

ლოტი N3 - ქედის სასამართლოს შენობის, მდებარე ჭავჭავაძის ქ. N5. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სარეკონსტრუქციო ფართი 293 მ<sup>2</sup>;

ლოტი N4 - ჭიათურის სასამართლოს შენობის, მდებარე თხელიძის ქ. N41, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სარეკონსტრუქციო ფართი 407 მ<sup>2</sup>;

სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების სავალდებულო ვადა - ლოტი N1 ; N2 ; N3 ; N4 - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 19 მაისის 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან), მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

